ხუთშაბათი, 1918 წ. მარტის 29 (11 № 99

წლიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 18 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას ეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

გაზ. „საქართველოს" ასოთ-ამწყობნი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთა და ნაცნობთ, რომ 23 მარტს ცხინვალში აჯანყებულ ბრბოსთან ბრძოლის დროს გმირულად მოკლულ იქმნა ამხანაგი გაზ. „საქართველოს" ასოთ-ამწყობი გვარდიელი—ასის თავი

სამუელ (ლადო)
ბაქანიძე

გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს 2 საათზე (სამოველნი ქუჩ., სახ. ტელიძისა). ჩერქეზიშვილის ქუჩით სამხედრო სასაფლაოზე ნაძალადევში.

გაზეთ „საქართველო"-ს რედაქცია და კანტორა მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ მარტის 23-ს, ცხინვალში, ბრძოლის დროს მოკლულ იქნა გაზეთ „საქართველო"-ს ასოთ-ამწყობი, გვარდიელი, ასის თავი

სამუილ ბაქანიძე.

გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს, ნაშუადღ. 2-საათზე, (სამოველნი ქ., ს. ტელიძისა, ჩერქეზიშვილის ქუჩით სამხედრო სასაფლაოზე ნაძალადევში.

დავით ნიკოლოზის ძე ამირეჯიბი, გიორგი ნიკოლოზის ძე და მეუღლე მისი ნინო ივანეს ასული ამირაჯიბები შვილებითურთ, ანნა ნიკოლოზის ასული ყიფიანისა მეუღლით და შვილებითურთ და ელენე ნიკოლოზის ასული დიდებულიძისა მეუღლით და შვილით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 27 მარტს ქ. გორში გარდაიცვალა მათი ძვირფასი მამა

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
ამირაჯიბი

დასაფლავება მოხდება ქ. გორში 30 მარტს სამების ეკლესიის სასაფლაოზე. 1—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის ორგანიზაციის გამგე

იწვევს დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ცენტრალურ კომიტეტის ბიუროში (თამამშევის ქარვასლა)

თბილისის ყველა საუბნო კომიტეტების შეერთებულ კრებას

უნდა გამოცხადდნენ ყველა უბნების კომიტეტები მთელის შემადგენლობით. უწყებები არავის დაეგზავნება. დასწრება აუცილებელია.

კოოპერატივ „ივერიას"
დროებითი გამგეობა

მოუწოდებს კოოპერატივში ჩაწერის მსურველთ საჩქაროდ ჩაეწერნენ კოოპერატივის წევრებად.

საწევრო ფული—5 მანეთია, საპაიო—50 მანეთი. წევრად ჩაწერა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში, ჩვენის პარტიის ცენტრალ კომიტეტის ბიუროში (თამამშევის ქარვასლა) და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში—ივ. ავალიშვილთან.

კოოპერატივი დაიწყებს მოქმედებას აპრილის პირველ ნახევარში. —1

ქართული კლუბი

ხუთშაბას, მარტის 29-ს, ქართველ მსახიობთა მიერ ეფ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

ღალატი

დრ. 5 მოქმ. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობენ: ქქნი: ეფ. მესხი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, თ. გოგოლაშვილი, ა. ჩხეიძე. ანნი ვ. აბაშიძე, ა. იმედაშვილი, ნ. გვარამაძე, ი. ღვანიძე, პ. კორიშელი, ი. ქუჩიძე, ნ. ციციშვილი და ი. თარხნიშვილი.

დასაწყისი ზუსტად 8 ს. ◆ ◆ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 2—2

საქართველოს ერ.-დემ. პარტიის ქ. თბილისის
კომიტეტისაგან

ქ. თბილისის კომიტეტი ამით აუწყებს თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს, რომ იგი გადავიდა ახალს ბინაზე—ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში. ბიურო ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ქართული თეატრის
ალორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წ-დე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად. ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გაჰმართავს წარმოდგენებს ჯერ თბილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენებას და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას. თუ რომელსამე მოწაფე მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყო 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღიაა დილის 10 საათიდან 2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

თბილისს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

4—931—4 ქართული დრამატიული საზოგადოება.

ახალი სამკურნალო

ექიმების
ს. მ. მძინარიშვილის და
ლ. მ. ნაზარეტიანცისა
20 მარტს გაიხსნა

ყოველგვარ ავადმყოფთათვის

სამკურნალოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

ქაკალიასი

იღებს ქალისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებითა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 საკუთარი „ნოეს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაკოვის ქ. № 11. თ—1536—9

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, საკუთრივ „ბონ-მონდის" პირდაპირ. თ—1018—18

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

შინაგანი, ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე. ტელეფონი 14—37

1ო—960—26

ქ. გორი

ექიმი

კ. მ. ელიოზიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება ძველ ბინაზე (ერთობის ქუჩა სახლი ზაალიშვილისა). (10—1522—8)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

ყოველის ძალით

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ორშაბათ ღამის კრებაზე ერთხმად დაადგინა, რომ ბათომისა და ბათომის მხარის დათმობას ის არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება და მთელის თავის ძალღონით იბრძოლებს მის შესანარჩუნებლად.

ასეთია ეროვნული საბჭოს დადგენილება და ასეთია მთელი ქართველი ერის მტკიცე გადაწყვეტილება.

ქართველი ერი ვერ დასთმობს ბათომის მხარეს, ვინაიდან ეს მის განუყოფელს ნაწილს შეადგენდა და შეადგენს. ამ მხარეს განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის, როგორც ეროვნულ-ზნეობრივი თვალსაზრისით, ისევე და კიდევ უფრო ეკონომიური და სახელმწიფოებრივი მხრით. ქართველი ერი ვერ დასთმობს ქალაქ ბათომს, ვინაიდან ეს ერთად-ერთი ბუნებრივი და უნაკლულო ნავთსადგურია მისთვის და მომავალი ეკონომიური ცხოვრების აღორძინებისა და განვითარებისათვის უპირველესი საფუძველი და საშუალება.

ქართველი ერი კარგად უნდა გრძნობდეს თუ რამდენად საშიშია მისთვის დღემდის ყოველგან გამარჯვებული კოალიციის წინააღმდეგ საომარი გზის წყობილების ჩამოგდება, მაგრამ მას სხვა გზა არ მოეპოვება ეროვნული არსებობისა, და უდიდესი თავისი ინტერესების დასაცავად. თუ ოსმალეთის მთავრობა არ დაკმაყოფილდება ყველა იმით, რასაც ჩვენ ვუთმობთ მას, თუ მისი მადა ისე შორს წავა, რომ საქართველოს ისეთს ნაწილებს მოგვთხოვს—უიმისოდაც შეუძლებელი იქნება ერის ფეხზე წამოდგომა და თავისუფალი განვითარება, არ უნდა არავინ დაეჭვდეს ისიც კი, რომ ეს საკითხი მხოლოდ იარაღით გადაწყდება.

შეიძლება, რასაკვირველია, ჩვენ დავმარცხდეთ და დავკარგოთ ის, რასაც უსისხლოთ ქართველი ერი ვერ დაუთმობს, ძალით მთელი საქართველოს დაპყრობაც შეიძლება, მისი ქალაქები და არხები. ასეთს მაგალითებს ჩვენ მრავალს ვხედავდით ამ საშინელს სისხლის ომის განმავლობაში. მაგრამ ყოველს ქართველს უნდა ახსენდებოდეს ის შეგნება, რომ საქართველოს ისტორია მითი არ იწყება და მით არ დასრულდება. ჩვენს მრავალ-ტანჯულს ერს მრავალი, უფრო შავბნელი დღენი უნახავს. თვით ოსმალეთიც გამოდგება ამის მოწმედ. ქართველი ერი შეიძლება დაიძლიოს ამ ჟამად და მას ზედაც რამ წაჰგლიჯონ, მაგრამ უნდა იცოდეს ყველამ, როგორც ოსმალეთმა, ისე ევროპამ, რომ საქართველოსთვის წართმეულს ნაწილებში და ეგრეთვე იმის გარშემო დიდხანს არ ჩაჰქრება ბრძოლის ცეცხლი და ჩვენი ქვეყნისა და თვით ოსმალეთის პოლიტიკური ვითარება მშვიდობიანობას ერთნაირად ვერ ეღირსება, სანამ საქართველო ისევ არ დაიბრუნებს იმას, რის დათმობა მას არასოდეს არ შეეძლო.

ოსმალეთმა უნდა შეამციროს თავისი მადა, თუ მას უნდა რომ კავკასიისაკენ დაედგას მშვიდობიანი საზღვარი. მისი მოკავშირეებიც ასეთსავე გავლენას უნდა ახდენდნენ ოსმალეთზე, თუ მათთვის საყურადღებო მცირე აზიის ზურგის სიმშვიდე და ლოია[illegible]ბა. თუ მიუხედავად ყოველივე ა[illegible] მტკიცე იქნება ოსმალეთის პრე[illegible]ები, უკვე გამორკვეული ქართველი ერის მტკიცე გადაწყვეტილება, რომ უკანასკნელის ღონისძიებამდის დაიცვას ის, რის დათმობა ქართველ ერს არ შეუძლიან.

რისთვის ვიბრძვით?

სამშვიდობო მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, მაგრამ ფაქტიურად დღეს ომი კიდეც სწარმოებს საქართველოსა და ოსმალეთს შორის. შეიძლება ხვალ ეს ოფიციალადაც დადასტურდეს. მაგრამ ომი ოსმალეთის წინააღმდეგ არსებითად ნიშნავს ომს ცენტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგაც: გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ოსმალეთის მოკავშირეები არიან. ხოლო რა მოიტანა ცენტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოსვლამ პატარა ერებს, ეს კარგად ვიცით ბელგიის, სერბიის, მთაშავეთის და რუმინიის მაგალითიდან,

ჩვენ საქართველოს შეიძლება დღეს ყველაზე გვიან დაუდგა ორიენტაციის საკითხი. სერბიასა და ბელგიას იგივე საკითხი ომის დაწყებისთანავე დაუდგა და ისიც ისე, რომ არჩევანი თითქმის შეუძლებელი იყო: ორივე სახელმწიფო გერმანიის წინააღმდეგ გამოვიდა და განადგურდა. შემდეგ ჯერი იტალიასა და რუმინიაზე მიდგა. ძნელი იყო იმის გადაწყვეტა თუ რომელი კოალიცია გაიმარჯვებდა, ამიტომ რომსა და ბუქარესტს დიდ ხანს მოუხდათ ყოყმანი: იქ ჯიოლიტი სონინოსა და სალანდრას ეწინააღმდეგებოდა, ხოლო აქ კარპი და მარგილომანი ბრატიანუსა და ფილიპესკუს. ბოლოს ორივე ლათინურ სახელმწიფოში ოთხთა შეთანხმების მომხრეებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ომის მსვლელობამ დაამტკიცა, რომ სამშობლოს ინტერესები გერმანოფილებმა უკეთ ესმოდათ. საბერძნეთში ორიენტაციის საკითხი არსებითად გადაუწყვეტელი დარჩა: ბულგარეთის სიძულვილისა და მტრობის მიუხედავად ბერძნის ერმა ვერ გაბედა გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩარევა.

ასეთი გამოცდილების შემდეგ თითქო შეუძლებელი უნდა ყოფილიყო რაიმე ყოყმანი, მით უმეტეს რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ძალთა განწყობილება კიდევ უფრო რადიკალურად შეიცვალა გერმანიის სასარგებლოდ. რუსეთი დაიშალა და გამოვიდა მებრძოლთა წრიდან. ინგლისი, საფრანგეთი და იტალია დიდათ დაზიანდა. ამ წუთში გერმანული ზარბაზნები ამსხვრევენ პარიზის კედლებს. და ამავე დროს საქართველოს დელეგაციას თბილისში სდევს სწორედ იგივე საკითხი, რომელიც ბრიუსელსა, ბელგრადსა, რომსა, ბუქარესტსა და ათინაში პირველად ოთხი ან სამი წლის წინად იდგა.

მაგრამ იმავე ბედმა საქართველოს შეცდომილი და უთაური ხელმძღვანელები არგუნა. ბულგარეთის სახელმწიფო[illegible]ლო მოღვაწეებმა კიდევ ამ ორი წლ[illegible] წინად იგრძნეს, რომ რუსეთი ც[illegible] ლი ცხედარია და პეტრე ერის[illegible] ხელსაყრელი არ არის მისი ჩამოდგ[illegible]რეთის და[illegible]ბა. რაც ფერდინანდ ბულგარელმა[illegible]მოასახლე[illegible] გეშოვმა სოლდიუნა და ლოდის[illegible]ამ, ამ მთიდრაციების შემდეგ დაინახეს, ის ჩვენ[illegible] სოციალისტებმა ვერ შეიგნეს თვით ბოლშევიკური რევოლუციისა და ფრონტის დაშლის შემდეგაც. როცა ზამთრის პირველ ოქტომბერში მთავრობამ ხაზგასმით „ამიერ-კავკასიის დამოუკი-

დებულ რესპუბლიკას" ზავი შესთავაზა და შემდეგ ბრესტ-ლიტოვსკშიც მიიწვია, თბილისმა კომისარიატმა ღრმააზროვნად ეს წინადადება მტრის ვერაგობად მიიჩნია და ტალაათ-ბეისა და ენვერ-ფაშას ის ბრძნული პასუხი გასცა, რომ ამიერ-კავკასია რუსეთის განუყოფელი ნაწილია, ხოლო რუსეთში ომისა და ზავის საქმე არ არსებული დამფუძნებელი კრების კითხულია. ამ გვარად ამიერ-კავკასიის მთავრობამ უარი სთქვა იმაზე, რომ ბრესტ-ლიტოვსკში უძლიერეს ევროპიულ სახელმწიფოებს მოლაპარაკებოდა როგორც თანასწორი თანასწორს და ამით საუკეთესო გარანტია მიეღო როგორც დამოუკიდებლობისა, ისე საპატიო ზავის უზრუნველსაყოფად.

ამით არ თავდება ჩვენი უბედურება. ჩვენს ბლაღ დემოკრატიას უღალატა რუსის ჯარმაც და რუსის მთავრობამაც. ამიერ კავკასიის ფრონტი დაირღვა. ჯარისკაცობა რუსეთში გაიკრიფა, ბოლშევიკურმა სამშვიდობო დელეგაციამ კი ბათუმი და არტაანი დაუთმო ოტტომანურ იმპერიას. მაგრამ თვით საქართველოს არ შეუძლია შეუშფოთებლად დასთმოს დიდი პროვინცია, რომელიც საუცხოვო ნავთსადგურს, უძლიერეს სპილენძის მადანს და უმსუქნეს იალაღს შეიცავს. ქართველი ერის ჯანსაღმა ნაწილმა იგრძნო საშინელი განსაცდელი და გურული გლეხები ც ქიზიყელი მეცხვარეები დაიძრნენ ბათომისა და არტაანის დასაცავად. მაგრამ ამ ციხე სიმაგრეების დაცვა დღეს უფრო ძნელია, ვიდრე ამ სამი თვის წინათ იყო, როცა ოსმალოს ჯარი ტრაპიზონსა და ერძინჯიანის იქით იდგა. ამგვარად რუსი სოციალისტების ღალატმა და ქართველი სოციალისტების შეცდომებმა ქართველი ერი სასოწარკვეთილ ომის წინაშე დააყენა: თუმცა ოსმალეთი პირველად მეგობრული განზრახვებით მოგვიახლოვდა და ამ განზრახვებს არ შესცვლიდა, რომ იმ თავითვე უძლურობა და სისუსტე არ გამოგვეჩინა, დღეს თუ ხვალ ოსმალეთიც და მისი მოკავშირეებიც შეიძლება საქართველოს მტრების რიცხვში ვიგულოთ.

დღეს ლაპარაკი აღარ არის არც არტაანის, არც ოლთისის შენარჩუნებაზე. არტაანის ციხე მტერს უპყრავს კიდეც და ჩვენ იძულებული გავხდით ეს უძველესი ქართული მიწა წყალი ოტტომანური იმპერიისთვის დაგვეპრუნებინა. მზად ვართ თვით ბათომის ოლქის საზღვრების შესწორებაც მოვახდინოთ ოსმალეთის სასარგებლოდ. მაგრამ ჩვენ აღარ შეგვიძლია დავსთმოთ ბათომის ნავთსადგური და მისი მიდამოები. და თუ ოტტომანური საზავო დელეგაცია გაჯიუტდა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ასრულება უკლებლივ მოგვთხოვა, სხვა გზა აღარ დაგვრჩენია რომ მახვილის ტიზონით დავიცვათ საქართველოს ინ[illegible]ბი.

ამ შემთხვევაში ყოველი მამულიშვილის ვალდებულება ცხადია. მთავრობის დანაშაული ან ხელმძღვანელი პოლიტიკური პარტიის შეცდომები ვერ გაამართლებს სამშობლოს მოღალატეობას. ანგარიშების გასწორების დრო მაშინ დადგება, როცა გავიმარჯვებთ ან დავმარცხდებით. მაგრამ სანამ ქართველი ხალხის სისხლი დაიღვრებოდეს, საჭიროა რომ ნათლად გარკვეული გვქონდეს რა მიზნისთვის იღვრება ეს სისხლი.

ნამდვილი ეროვნული ომის წარმოება მხოლოდ დიდი და ნათელი მიზნებისთვის შეიძლება. თვით მდაბიო ქართველი ხალხი ინსტიქტიურად გრძნობს ამ მიზნებს. როცა გურული გლეხი ბათომში მიდის, მას ესმის რომ ეს ნავთსადგური აუცილებლად საჭიროა სამშობლოს აღორძინებისა და კეთილდღეობისათვის. სხვა პროვინციებში შეიძლება ეს შემეცნება უფრო ბუნდოვანი იყოს. მაგრამ უეჭველია რომ ხალხის ამოძრავება შეუძლებელია თუ სამშობლოს იდეა არ დაუკავშირდა ბათომის სახელს.

ბათომი საქართველოს ისტორიულ ფარგალში შედიოდა, მაგრამ ფაქტიურად საუკუნებით ჩვენს ხელში არ იყო ბოლო დრომდე. უცხო ფლოტი იდგა მის ნავთსადგურში, მისი საგარაკოები და ვილლებიც უცხოელებს ეპყრათ. [illegible]უყო საერთაშორისო ქალაქი, რო[illegible]ც უფრო რუსული ელფერი გა[illegible]და. ბათომი იყო ერთი მიჯნა ბა[illegible]ს გზაზე, რომელსაც რუსული [illegible]ალიზმი წინააზიისა და კონსტანტინოპოლისკენ მიჰყავდა. რუსებს [illegible]ყისათ მიაჩნდათ და აკი ჩვენდა დაუკითხავად გასცეს კიდეც.

უდიდესი დანაშაული იქმნებოდა ქართველი ერის წინაშე, რომ ის დიდს ევროპიულ ომში ჩავითრიოთ, რათა ადრინდელი სახის ბათომი შევინარჩუნოთ. როგორც სჩანს, ჩვენი სოციალდემოკრატია მზად არის ასეთი დანაშაული ჩაიდინოს. ნიშნებია, რომ სოციალდემოკრატიას განზრახვა აქვს ქართველი ერის სისხლით მოღალატე რუსეთის შავი ზღვის კარები დაუბრუნოს. რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი ფილიალური განყოფილება ნებსით თუ უნებლიეთ რუსული იმპერიალიზმისთვის იღწვის.

უსაფუძვლო იჭვიანობა არ გვალაპარაკებს. გაზეთ „ერთობას“ ჯერ კიდევ თავის შუბლზე არ წაუშლია დამნაშავე რუსული პარტიის დაღი. აქამდე ჩვენ ამას გულმავიწყობას, დიპლომატიურ სიფრთხილეს ან მგლოვიარე პირისუფლის კდემას ვაწერდით. მას შემდეგ, რაც სეიმის სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ პრინციპიულად ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა აღიარა, ვფიქრობდით რომ დიდხანს აღარ დაყოვნდებოდა ადგილობრივი მენშევიზმის „ნაციონალიზაცია“. იმედი გაგვიცრუვდა. ბოლო დროს გაძლიერდა საეჭვო რუსული ელემენტების თავდასხმა საქართველოზე, ამასთან ერთად შეიცვალა გაზეთ „ერთობის“ ტონიც. როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთმა დამოუკიდებელ საქართველოს იდეას პოლიტიკური ეკონომიის მხრიდან მოუარა. უებრო ქართული სტილით გამოთქმულ იქმნა ის სიბრძნე, რომ ეკონომიური განვითარების კანონების მიხედვით გასამართლებელი არ არის პატარა ეროვნული სახელმწიფოების „წამოთავთავება“. ამგვარად ქუთათელი კომისრის შესაფერი სითამამით მთელი თანამედროვე კაცობრიობის განვითარება კანონს გარეშე იქმნა გამოცხადებული. შემდეგ რამდენიმე მაგარი სიტყვა ითქვა ბოროტ ნაციონალისტების მიერ მოგონილ ეროვნულ მთავრობაზე; და ბოლოს გაზეთმა „ერთობამ“ დაბეჭდა ცინიზმით აღსავსე წერილი, სადაც აშკარად უარი სთქვა თვით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის იდეაზე (იხ. „ერთობა“ № 70).

რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს ჩვეულებრივი „მამულიშვილური“ გულზვიადობის ნაყოფად მიაჩნია ის აზრი, თითქო „ამიერ-კავკასიის კულტურა მაღლა იდგას რუსეთისაზე“. საიდუმლოებათ რჩება ის გარემოება, რომელიმე მამულიშვილი ამტკიცებდა, რომ ორგანიული ამიერკავკასიული კულტურა არსებობს. შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ დამოუკიდებლობა ლამაზი სიტყვაა, მაგრამ დიდათ იჭვიანობს რომ მას ბედნიერების მოტანა შეეძლოს; და ბოლოს გადადის იმის დამტკიცებაზე რომ დამოუკიდებლობა უბედურობაა, თუ ამიერ-კავკასიამ ბათომი, ყარსი და არტაანი არ შეინარჩუნა, ოსმალო ფაშების წინააღმდეგ მოკავშირეები არ გაიჩინა და ევროპიული სახელმწიფოების მიერ მუდმივი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა არ მიიღო.

ყველა გარანტიების მიცემა ძნელია მანქია გასათხოვარი დედაკაცისთვის, მით უმეტეს შეუძლებელია მადლი და სულმოკლე ხალხის ან პოლიტიკური პარტიის დაკმაყოფილება. და არტაანი არსებითად ოსმალეთზეა გადაცემული, ხელუხლებელი ნეიტრალიტეტი ამიერ-კავკასიისთვის კი არა ბელგიისთვისაც ვერ უზრუნველ ჰყვეს ევროპის სახელმწიფოებმა. ცხადია, რომ ჩვენს მმართველს პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რუსეთის წიაღში დაბრუნება. ცხადია აგრეთვე თუ როგორ ტრაგიკულ ალტერნატივას გვიზადებს ჩვენი სოციალ-დემოკრატია: თუ გავიმარჯვეთ მთელი საქართველო ბათომითურთ რუსეთს შერჩება, თუ დავმარცხდით, შეიძლება ბათომი ოსმალეთმა წაიღოს, ხოლო დანარჩენი საქართველო რუსეთმა.

სოციალდემოკრატები აღარ მალავენ, რომ მათ თავდაცვის საქმეში უფრო ვიწრო პარტიული ეგოიზმი ამოძრავებს, ვიდრე ეროვნული მოსაზრებები. უწინარეს ყოვლისა თავიანთ პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებისთვის ზრუნავენ და არა ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის. ამიტომ ჩრდილოელ მტერს დიდს უპირატესობას აძლევენ სამხრეთ მტრის წინაშე: რუსეთს არსებითად მტრადაც აღარ სთვლიან.

— რუსეთის რეაქცია ადრე გაივლის, სწერს გაზეთი „ერთობა“, ხოლო ოსმალეთის ფაშების ბატონობას როდის მოეღება ბოლო ეს ჩვენ არ ვიცითო.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ოსმალო ფაშის აჩრდილი მოსვენებას აღარ აძლევს თბილისის სოციალდემოკრატებს. მათივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, მათ ეშინიათ რომ ჩვენს ქვეყანაში ოსმალო ფაშა შემოვა და თავებს [illegible] ყველა სოციალისტებს. [illegible] გაზეთი „ერთობა“ ხშირად [illegible] ულად ან კიდევ უფრო [illegible] იჭვსაც გამოსთქვამს, რომ ამ ვერაგულ განზრახვას ქართველი მამულიშვილებიც უნდა იზიარებდნენ; მით უმეტეს რომ ქართველი მამულიშვილები ხელსაყრელ პირობებში თვითვე უარს არ იტყოდნენ ფაშობაზე.

ჩვენ გვგონია, რომ ამ ხალხის შიში ცოტა არ იყოს გადაჭარბებულია და ერთი მხრით ზედმეტი სიმხდალით აიხსნება, ხოლო მეორე მხრით საკუთარი თავების ზედ-მეტად დაფასებით. კარგა ხანია რაც ბოლშევიკები და მენშევიკები თავებს იღლიის ქვეშ ატარებენ წმინდა დიონისესავით, ეს ალბათ ოტტომანურმა მთავრობამაც იცის და მარტო ჯალათური მიზნებისთვის ლაშქარს არ დაძრავს ამიერ კავკასიის საზღვრებისკენ. მაგრამ თუნდაც ეს ასე იყოს, ქართველი ერის ომისთვის დასაძრავად და დასარაზმავად ცოტა უფრო მაღალი იდეალებია საჭირო, ვიდრე რამდენიმე, ცოტად თუ ბევრად ბრძენი პოლიტიკური თავის შენარჩუნება. ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, რომ მისი ჯარის სისხლი სამშობლოს მთლიანობისა და თავისუფლებისთვის დაიღვრება და არა რომელიმე პარტიის მიზნებისთვის.

უსაფუძვლოა აგრეთვე ჩვენი სოციალ-დემოკრატების და კერძოდ „ერთობის“ პუბლიცისტების იჭვი ქართველ პატრიოტებზე. დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ოსმალეთის საფრთხე კარებზე ბოლშევიკების დანაშაულობამ და მენშევიკების შეცდომებმა მოგვაყენა. თუ ამისდა მიუხედავად ოტტომანური მთავრობა უმადურობას გამოიჩენს და ფაშობის ხარისხს ქართველ პატრიოტებს შემოგვთავაზებს, ჩვენ ჩვენის მხრით საპურისის თანამდებობას ჯამოუკლებლივ „ერთობის“ პუბლიცისტებს დავუთმობთ. ასე, რომ ბოლოს მაინც ყოველგვარი თავმოყვარეობა შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებულ იქნება...

გ. ქ.

გიორგი მაჩაბელი

ერთი მსხვერპლთაგანი ჩვენის დღეებისა გიორგი მაჩაბელია.

იქ, მშობელ ცხინვალში, სადაც ის იცნობდა ყოველ კაცს და სადაც მას იცნობდა ყოველი კაცი—მისი სიკვდილი ცოტა სხვანაირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეხლა, როცა ის, მართლა „სხვანაირად“ მოკვდა, ის მოკვდა იმავ გლეხებისთვის, რომელთა უფლებისთვის ის იბრძოდა და მოკვდა ტანჯვაში და წამებაში, იქნება თავისავე ნაცნობ „გლეხების“ ხელით—ასეთი სიკვდილი კოშმარია ჩვენის დღეებისა, ზღაპარი სისხლიან დასასრულით, ნახტომი უფსკრულში, ნაცვლად მზისკენ მისწრაფებისა.

მე ის მინახავს ბავშვობიდან, როდესაც ერთად ვსწავლობდით ქართულ გიმნაზიაში და ვნახე უკანასკნელად თბილისში, ერთი დღით წინ, ვიდრე ცხინვალში გაემგზავრებოდა.

შეუძლებელია ამ სამწუხარო დღესაც არ აღნიშნო ერთი მისი ფიზიკური თვისება, რომელიც მას ქმნიდა შესანიშნავადაც, გამოჩენილადაც და ძვირფასადაც კი.

— სქელი იყო.

— სქელი იყო ბავშვობიდანვე.

მაგრამ მას ქონდა მეტად კეთილი თვალები და უსათუოდ გაიფიქრებდით:

— ხუმრობს, თუ მართლა „სქელია“?

მას ჰქონდა ნაზი სული. და ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე ფლეიტაზე უკრავდა.

იქ, პეტრე დიდის ქუჩაზე, სადაც მაშინ ქართული გიმნაზია იყო, გიმნაზიის ბაღში, სადაც ამდენი იყო იასამანი, მისი ფლეიტა სულ მუდამ გაისმოდა და ჩვენ, ბავშვები, მის მუდმივ ამალას შევადგენდით.

როდესაც ვიგონებ ამას და როდესაც ვიგონებ იმასაც, თუ რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რამდენი გამოიარა მას შემდეგ საქართველომ და რამდენი გამოიარა თვითონ მან, რომლის გულიდან საქართველოს სიყვარული არასოდეს არ ამოფხვრილა—მე მიმძიმს ფიქრი და საქართველოს თავისუფლება, რომლის აღსავლის კარების წინ დღეს ჩვენ ვდგევართ უფრო ნაკლებ მოახლოვებად მაქვს წარმოდგენილი, ვიდრე მაშინ, როდესაც მეც და ალბათ იმასაც, იგი გვეჩვენებოდა ლამაზ ქალწულად, მაგრამ არა ჯავის ხეობიდან მოსული.

და როდესაც ამ პირველ შეხვედრას ჩემს მასთან უკანასკნელ შეხვედრას ვადარებ მე უფრო მეტად მიმძიმს.

ეს იყო სასახლეში და გიორგი მაჩაბელი ერთი მინისტრის კაბინეტიდან მეორე მინისტრის კაბინეტში შერბოდა.

— ის ეძებდა კრედიტებს!

გესმით თქვენ რას ნიშნავს ეს სიტყვები?

ეხლა ადამიანები უანგარიშოთ მდიდრდებიან, გამდიდრება შეიძლება ერთ გირვანქა ფქვილზედაც კი და ფული ბევრია ჩვენ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ ახალგაზრდა სახელმწიფოს—ამიერ-კავკასიას ფულები არა აქვს. და როდესაც ის ელ. გოგეჩკის კაბინეტში შემოვიდა, ფულის სასესხებლად. ფული არც ელ. გოგეჩკის ჰქონდა მაგრამ კითხვა კი მისცეს:

— რათ გინდათ ფული?

— ფრონტისთვის იარაღი გვაკლია, ხალხში კი ბევრია იარაღი. წითელი გვარდია დაუვლის ხალხს და იმედი მაქვს ხალხი დაგვიბრუნებს იარაღს. მაგრამ ამისთვის ფულია საჭირო.

სთქვა მან და გავიდა კაბინეტიდან, ალბად სხვა მინისტრის სანახავად და „სესხის“ საშოვნელად. ამის შემდეგ ის გორის მაზრაში წავიდა და ბოლო ამბებმა ცხინვალამდე მიიყვანეს.

გაზეთები მის და მის ამხანაგების გმირულ სიკვდილს გადმოგვცემენ.

ამბობენ, მისი უკანასკნელი სიტყვები იყო:

— რათა მკლავთ აქ, მე მინდოდა სადმე ოსმალეთის საზღვარზე სიკვდილი.

საცოდავი! ის მოკვდა ალბად იმ რწმენით, რომ საქართველოს მთლიანობა კიდევ შესაძლებელია და ცხინვალის ფრონტი—გარეშე ფრონტი არ არის.

იქნება ასეა ეს. იქნება ოსები მოღალატენი არ არიან და კიდევ შესაძლებელია მათთან ძმური კავშირი. მე მინდა დავეთანხმო ამ კეთილ და სამშობლოს მოყვარულ ადამიანის აზრს, წარმოთქმულს სიკვდილის წინ.

მაგრამ აი, რამდენიმე დღეა, რაც ერთი აზრი მოსვენებას არ მაძლევს.

ამ დღეებში ჩემთან ერთი ახალგაზრდა მოვიდა და მკითხა:

— მე მივდივარ ჯარში, მაგრამ არ ვიცი, საით წავიდე, ცხინვალისკენ, თუ ბათუმისკენ?

მე გულწრფელად ბათუმში წასვლა ურჩიე. რადგანაც გულწრფელად ვფიქრობ, რომ ოსებთან შინაურულად მოვრიგდებით.

მაგრამ რა მძიმეა ეს ფიქრი!

მძიმეა ვით კუბო, რომელშიაც წევს ეს ადამიანი, ნაზის სულის მქონე და მლოდნე სიკვდილისა სამშობლოსათვის.

შ. ამირეჯიბი.

გიორგი მაჩაბლის ხსოვნას

დღეს საფლავს მიაბარებენ უმადურობის მსხვერპლს: გიორგი მაჩაბელს.

ამ პიროვნებას, შეიძლება, საქართველოს ყოველ კუთხეში არ იცნობდნენ, მაგრამ ქართლისთვის იგი ფრიად პოპულიარი პიროვნება იყო.

მას იცნობდნენ არა მარტო როგორც პარტიის კაცს, არამედ როგორც საუცხოვო ვაჟკაცს, მებრძოლს, რომელმაც ქართლში რაზმის შექმნით მოქმედ რევოლუციის პარტიას იდეა მისცა წითელ რაზმების შედგენისა.

წოდებით თავადი, შეძლებული მემამულე, სიცოცხლით სავსე, რომელსაც ვაჟკაცობის მხოლოდ 35 წელი გაეტარა, გიორგი უარჰყოფს წოდებას, პირად ბედნიერებას და თამამად მესვეურობს რევოლუციის მიერ გამოშვებულ განწირულ ჰუსარებს...

სიყრმე დაუცხრომელ ძიების ხვრელში გაატარა. მას ყოველგან ნახავდით, მაგრამ არცერთი ასპარეზი არ აკმაყოფილებდა, მის ფართო სულს მცირედ მიაჩნდა სამოქმედოთ.

თავზე და ეჭვზობა ცხოვრებისა მას თან დასდევდა ფეხდაფეხ. განაზრიელი, გემებზე მტვირთველი მუშა, ნებიერი ცხოვრების შვილი, მაგრამ იმავე დროს მისგან მოძულებული, ხან ბეჯითი, ხან თითქოს დაუცხრომელი ტურისტი სწავლობს სამშობლო მთებს და მის კალთებს, რუსეთის კუთხეებს, ეწვევა უცხოეთს: პარიზი, მონპელიე, ვერსალი მის სწრაფვათა დასასვენებელი ადგილია, ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ როგორც ყოველთვის, ეხლაც გიორგი, რწმენით ს.-დემოკრატი, რჩება არისტოკრატად სულისა, რაიც ასე იშვიათი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

გიორგიმ სავსებით გამოსცადა ფიალა ცხოვრების მრავალფეროვნების: ბედნიერებაც და უბედურებაც. მაგონდება მისი დარიდიმანდული თვისი მშვენიერებით და ნაკლულევანებით სავსე თავადური ცხოვრება საკუთარ სოფელ ქურთაში, სადაც მოსალამურე ბედნიერებას თვითონაც ფლეიტით უმღეროდა უზარმაზარ კაკლის ტოტიდან, მთვარიან ღამეში მათის ცეზის რომ ფანტასტიურ სახეს აძლევდა, მაგრამ არ მავიწყდება შხამი და სამსალაც, გიორგის მიერ გამოცლილი, როცა რწმენის ჯალათებმა 1905—6 წლებში ჟანდარმებისა და სტრაჟნიკების ჟუჟმხობა მოათმენინეს და ციხეში გამომწყვდევით მოაშორეს საკუთარს ოჯახს და ტკბილს სატრფოს...

ციხის შემდგომაც გიორგი უდრეკი იყო, რწმენის ჰუსარს ადვილად ვერ დაადგებინეს აფრიალებული ალამი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამხანაგთა შორის გიორგი ის იშვიათი პიროვნება იყო, რომელსაც პარტიულ ფანატიზმმა თვალები ვერ დაუბრმავა და თამამად აკისრებინა სოციალისტურ ლიტერატურასთან ერთად პარიზიდან „საქართველოს“ ნომრების ჩამოტანა და გავრცელება...

„ნუ ჩქარობთ, მოვა დრო და როდესაც საქართველო რელიეფურად წამოაყენებს თავის საკუთარს საკითხს, მაშინ გიორგი და მისი ამხანაგები რაზმებითურთ წინაწყებაში მოვექცევით!“—ხშირად უთქვია გიორგის.

ეს მარტო ქადილი არ იყო, მას შესწევდა ძალღონე, მართლაც, ეს ასე მოხდებოდა...

არა ქართლმა დაჰკარგა, მართლაც, საუკეთესო ადმინისტრატორი ასე ვსთქვათ, კომისრის სახით, არამედ ქართველმა ერმა დაჰკარგა ძლიერი და ნათელი პიროვნება, რომელიც ყოველთვის პარტიულ რწმენაზეც მაღლა იდგა და, შესაძლებელია, მას პირველს ეთამაშნა როლი სექტანტობის დამსხვრევისა და პარტიათა შორის მომრიგებელის როლის თამაში!

გიორგის ვმარხავთ...

ჩვენ დავტირით არა ტყვიით გაგმირულს შუბლს და უმადურობის ხიშტზე აგებულ მის ზღვა გულს, არამედ შეგნებულს კეთილშობილებას და ნამდვილ ქართველის დაკარგვას, ამ სიტყვის უფაქიზესი მნიშვნელობით...

დ. კასრაძე.

ომი

გერმანელების შეტევა

გერმანელებმა დაიჭირეს ჟიტომირი და ბერდიჩევი. კრემენჩუგთან მათ დიდ ძალებს მოუყრიბეს თავი. გერმანელ ჯარების უფროსთა გეგმა აშკარავდება. საბოლოვო მიზანი—ვილნის დაჭერაა. გერმანელები ორშის დაჭერის შემდეგ ელნინისა და მოგილევსკენ წამოვიდნენ.

დასავლეთის ფრონტზე

პანგერმანული პრესა სიხარულით აღნიშნავდა გერმანელთა შეტევას დასავლეთის ასპარეზზე. დანიურ გაზეთების ცნობით ბერლინში დიდი აღფრთოვანებაა. გერმანულ გაზეთების სიტყვით ეს შეტევა არის უკანასკნელი, რომელიც ჩამოაგდებს სამუდამო ზავს.

„Tagliche Rundschau“ და სხვა ორგანოები ანექსიონისტებისა ოცნებობენ, რომ დასავლეთშიც ისეთივე ზავი უნდა იქმნას შეკრული, როგორც აღმოსავლეთშიო.

ბრძოლა ჰაერში

პარიზში დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ საჰაერო ბრძოლაში გერმანელებმა დაჰკარგეს 191 მანქანით მეტი მოკავშირეებზე. ინგლისელებმა ერთ კვირაში ჩამოაგდეს 125 მანქანა. თვითონ 9 დაჰკარგეს.

ავსტრიელთა დახმარება

გერმანულ შტაბის ცნობით საფრანგეთ-ინგლისის ფრონტებზე გერმანელებს ავსტრო-უნგრელთა არტილერია დიდად ეხმარება.

გერმანელების სამზადისი შავ ზღვაზე

სარწმუნო ცნობებით, ხარკოვი თვისი მიდამოებით გერმანელებს და უკრაინელ გაიდამაკებს დაუჭერიათ. ამასთან გერმანელის რაზმები საჩქაროდ მიემართებიან როსტოვისკენ. ისინი დონის ოლქში უკვე შესულან. ხმებია, გერმანელები მთლად გამაგრდნენ პეტროგრადშიო. ამასთანავე ამბობენ, დიდ საომარ ოპერაციებს ამზადებენ შავზღვაზეო.

რუსეთი

მთავრობის წარმომადგენლები

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი რადიოთი იტყობინება: რუსეთის მთავრობამ წარმომადგენლად ვენაში დაინიშნა კამენევი. იგი ბრესტის დელეგაციის წევრად იყო. ვენაში მისი გამგზავრება იმითი ბრკოლდება, რომ იგი ალანდის კუნძულებზე გერმანელებმა დაიპატიმრეს.

ამნაირადვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ცნობას იძლევა რადიოთი, რომ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლად ბერლინში დაინიშნა ადოლფ იოფფე, რომელიც ბრესტის დელეგაციას თავმჯდომარეობდა.

ურალის ყაზახობა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ტაშკენტი. ორენბურგიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, რომ ურალის ყაზახები გენ. დუტოვის მეთაურობით ორენბურგზე ილაშქრებენ. ქალაქში ბრძოლაა. ორენბურგის სოციალისტურ ჯარის რაზმები ერთი დეპეშის მიხედვით—ილეცკს გზაზეა მომწყვდეული, მეორე დეპეშით—ტყვედ წაუყვანიათ. კობოზევი ტაშკენტს უახლოვდება. თურქესტანელთა რაზმები დაქანცულნი არიან მუდმივი ბრძოლებით, იმუქრებიან ბუხარასთან და საეჭვოა, რომ მათ რამე დახმარება აღმოუჩინონ ორენბურგელ ამხანაგებს, რომელნიც დიდ გასაჭირში არიან. ორენბურგს საფრთხე მოელის, იქ მოელიან ჩვენს რაზმებს. ორენბურგის დაცემა მისპობს საბჭოთა ძალა-უფლებას ტაშკენტის მხარეში. მიიღეთ ყოველივე ზომები დუტოვის მოძრაობის შესაწყვეტად.

კომისარი ხიდოროვი.

მოსკოვი დედა ქალაქად

მოსკოვი გამოცხადებულია რუსეთის სატახტო ქალაქად. პეტროგრადი რჩება თავისუფალ სავაჭრო ქალაქად.

ბრიანსკის აღება

„ნოვაია ჟიზნის“ ცნობით გერმანელებს ბრიანსკი აუღიათ. კონოპატთან ხიდები აფეთქეს.

ოსმალთა გემები ყირიმში

თეოდოსიაში 8 მარტს ოსმალეთიდან მოვიდა პირველი ჯგუფი რუს ინვალიდებისა. ოსმალეთს და ახლად მოსულ სტუმრებს სადილი გაუმართეს. გემებზედ იყვნენ გერმანელი აფიცრებიც. მოსულები ამბობენ, რომ ხმები დარდანელის აღების შესახებ ტყუილია, ინგლისის გემები მხოლოდ შესავალში დგანან და სრულად შეაჩერეს. „მიდილი“ (ბრესლაუ) ჩაძირეს. „გებენი“ ძლიერ დაზიანებული იყო, ახლა კი გამოვიდა. ოსმალეთში არეულობა მოხდა, მაგრამ ახლა მიყუჩდა. პურის სიმცირეს განიცდიდით. გვაძლევდნენ გირ. ერთ მეოთხედ პურს. გირვანქა ერბო ჰქონდა 35 მანეთი.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დაკარგვა

სახალხო კომისართა საბჭომ ყირიმიდან ცნობა მიიღო, რომ აი-თოდორში უკვალოდ დაიკარგა ყოფილი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

მარიამ პავლეს ასული

ყოფილი დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით მისთხოვდა სასახლის ყოფილ კომენდანტს გენ. პუტიატინს.

ანარქისტების თავდასხმა მოსკოვში

მოსკოვში ანარქისტები თავს დაესხნენ ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებას და ყუმბარები ჩამოჰყარეს. მოკლულია 35 მსყიდველი.

ქართულ საზოგადო ბინის გაჩხრეკა პეტროგრადში

ამ დღეებში, პეტროგრადში, ჯარის კაცებმა კომისრის მეთაურობით გაჩხრიკეს „ევროპიული სასტუმრო“-ს ნომრები, განსაკუთრებით კი ქართულ რაზმის, ცეიხჰაუზის, და საზოგადო ბინა. ჩხრეკის შემდეგ რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

ლტოლვილები

მინსკიდან იტყობინებიან: ბარანოვიჩში ამ ჟამად 50,000 ლტოლვილია. მრავალს არა აქვს თავშესაფარი და ცის ქვეშ რჩება. მათში დიდი შიმშილობაა. „პოგორელცის“ „გოროდეა“-ს და „სტოლბცის“ სადგურთან დიდძალი ლტოლვილობა მოაწყდა. მათში ქალები და ბავშვები სჭარბობენ. იტანენ ყოველგვარ გასაჭირს, სიმშილ-[illegible] და არ იციან როგორ გადაწყდება მათი ბედ-იღბალი.

პ უ რ ი!

მოსკოვის საოლქო სასურსათო კომიტეტებმა ვორონეჟში მყოფ თავის რწმუნებულს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „მას შემდეგ რაც გერმანელებმა სამხრეთი გუბერნიები დაიჭირეს, ერთად ერთი იმედი სურსათის მოწოდებისა მხოლოდ ვორონეჟიდან გვაქვს. გთხოვთ ყოველივე ღონისძიებას მიჰმართოთ და ერთი გზის პური მაინც გამოგვზავნოთ საოლქო კომიტეტის სახელზე. დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ რაც იშოვოთ. მიეცით ფული რამდენიც საჭიროა. ასეთ დროში სხვა აღარ შე ძლება. დაგზავნეთ ჩვენი კაცები სხვა გუბერნიებშიც. ნიკოპოლიდან (ეკატერინ. გუბ.) მოსკოვის სასურსათო კომიტეტმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „გამოგზავნილია 600,000 ფუთ პურს. ასევე ვგზავნით პეტროგრადში გზაში პურს დიდი საფრთხე მოელ გეშინიან, მტერმა არ დაიჭირ სუმიდან იტყობინებიან: „სუმა

ყო წესებშია. პურის მოსაკრები მუშაობა შევაჩერეთ".

გამოხიზვნა პეტროგრადიდან

პეტროგრადიდან რკინის გზით გამოხიზვნა მეტად გაძნელდა, ამის გამო მრავალი ფეხით და ეტლებით იხიზნებიან. რკინისა თუ შარა გზები სავსეა ქვეითა და ეტლიან მგზავრებით.

ფინლიანდიაში

გერმანელთა ჯარების გადასხმა

აპრილის 2. ყინულზე და ნაღმიან ადგილებზე გავლის შემდეგ ფინლიანდიის დასახმარებლად გაგზავნილი ჯარი ხანდაში გადმოსხეს, ფინლიანდიის სამხრეთის ნაწილში.

თეთრ გვარდიის მოქმედება

გერმანულ რადიო სადგურიდან აპრილის 6. შვედური გაზეთი „ლაუტ" იტყობინება, რომ მთელ ფინეთის ფრონტზე ომი სწარმოებს. თეთრი გვარდია შერნებორგთან შეტევაზე გადადის, განსაკუთრებულ სიძლიერე კურელიანთან. მთელი მხარე მოდ გერმანელთა შემოტევას ქ. აბოზ ჰელსინგფორსზე. წითელი გვარდია დიდ რღვევას განიცდის. ზევ რის კაცი ჯამაგირს აღარ ებენ. იმავე გაზეთის სიტყვით მთავარი შტაბი, როგორც ქტი თეთრმა გვარდიამ, ისევე ლამდე ტამმერფორსის ქუჩებში ბრძოლაა გამართული, სადაც თეთრ გვარდია იმარჯვებს.

გერმანელთა საეროს ჩასვლა

გერმანეთის მთავრ პირველ საელჩოს ფინლიანდიაში დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ფინლიანდიის საზღვრებზე, ხაპ ლში საელჩოს კონსული ელოდა, და ტარნეომდე მარხილებით გაჰყვა, სადაც საელჩოსთვის სწრაფ მატარებელი მოემზადებინათ. ყველა სადგურზე ესალმებოდ საელჩოს.

ეროვნული საკითხი

ესტლანდიის დამოუკიდებლობა

ესტლანდიის დამოუკიდებლობა რეველის ლაქის თვითმართველობამ ლიფლიანდიასთან ერთად ცენტრალურად არის გამოცხადებული. ბოლშევიკებისგან წართმეული მამულები უბრუნდებათ მემამულეებს.

სომეხთა დაცვა.

ატინგმა დეპეშით მიმართა შეიდემანს და ჰააზეს, რომ ქენეის სომხების პარტიული კომიტეტი იტყობინება სომეხთა ჟლეტას ოსმალთა მიერ, რუსების წასვლის შემდეგ და ითხოვს, რა ზომები იქმნას მიღებული ამის ნაადრევ.

პოლონეთის ნაციონალ-დემოკრატების მოთხოვნილება.

ციურიხიდან მოსულ რადიოთი არკვევენ, რომ პოლონური კრიზისი დღითი დღეს მწვავდება. რუსული პოლონეთი არა სცნობს ოკუპანტების პოლიტიკას, რომელსაც ბერლინთან აქვს ურთიერთობა. რეგენტის საბჭომ განაცხადა, რომ არა აქვს რა საწინააღმდეგო იმ პოლონურ დელეგაციასთან ბერლინში, რომელიც წაბიჯს გადასდგამს პოლონელების და გერმანელთა დაახლოვების საქმეში. ავსტრიის პოლონელთა ნაციონალ-დემოკრატები მოითხოვენ ძველი პოლონეთის აღდგენას.

რადიო-ბიულეტენი

მარტის 28

პარიზი. აპრილის 9 (ახ. სტ.). ეიფელის კოშკიდან. სამხედრო ცნობა. მონდიდიეს ჩრდილოეთით გერმანელთა არტილერიამ, რომელიც ჩვენსას შეეჯახა, ჩვენ რამდენიმე პუნქტს დაუშინა. ხანგარდ-ენ-სანტერსის რაიონში ფრანგთა არტილერიამ გერმანელებს, რომელნიც იერიშზე გადასვლას აპირებდნენ, ხელი შეუშალა სანგრებიდან ამოსვლაში. ფრანგებმა მოაგერიეს გერმანელთა იერიში ნუაიონის დასავლეთით. ბლერმანტის სექტორში ფრანგთა ბატარეამ დაუშინა და გაჭანტა მტრის ჯარი კური-ალ-შატოს რაიონში. დანარჩენ ფრონტზე არსებითი არაფერია.

სტამბოლი. აპრილის 9 (ახ. სტატ.). ოსმანიეს რადიო სადგურიდან. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ფრონტის რამდენიმე ნაწილზე მოდარაჯეთა შეტაკება და ხელის ყუმბარებით ბრძოლაა. ამ ბრძოლაში ორივე მხარის არტილერია იღებს მონაწილეობას.

კავკასიის ფრონტი. ის ახლო მტრის დამარცხებულ ებს აღმოსავლეთისკენ ედევნით განში საკ ქვეები და მათ მოდ ზევრი ტყვე ით დატვირთული და სურსათით და ვიგდეთ. ჩვენი თული ვაგონები ბრძოლას ჯარი მარჯვედ ბით მიიწევს და ყარსის მიმ ჯარი მდ. პოწინ. ბათუმთან მტრის ბრძოლები რონზე გადავი ნავე სიმაგრეები შავ ექცია ილო.

ბერლინი. ლის 8. გერმანეთის გთა არტილერია გაოფიციალი ივე ქალაქების განადგურებას მონდიდიეს გარდა დაუშინეს ვე ლაონს, აპრილის 5-ს მოხვდა 476 ზარბაზნის „მატენ"-ის ცნობით პარიზის ურამ აღკრძალა სანახაობების საღამოებით, რადგანაც სატახ ლაქს გერმანელები ყუმბარებს ენ.

ლონდონი. აპრილის 8. ინგლისის ცნობა. ინგლისურად „ტაიმს"-ის კორესპონდენტი იტყობინება: ის აზრი, ვითომც მეორე მომავალში საფრანგეთის ფრონტის ყოველ ნაწილში შესაძლებს მოქმედების დაწყებას თანდათან შეუძლებელი ხდება, რადგანაც გერმანელებს სრულიად შეკრული აქვთ ხელები უკანასკნელი მათი შეტევით. მათი მდგომარეობა შედარებით ეხლა უფრო მძიმეა, ვიდრე ერთი კვირის წინად.

გაზ. „საქართველოს"-ს ხვალინდელი ნომერი

არ გამოვა, რადგან ასოთ-ამწყობნი ესწრებიან ცხინვალის ბრძოლაში მოკლულ ამხანაგის, „საქართველოს" ასოთ-ამწყობ სამუელ ბაქანიძის დასაფლავებას.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ე. პ. გეგეჭკორის გამგზავრება.** ამიერ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორმა, რომელიც რამდენიმე დღით თბილისიდან განჯაში გაემგზავრა, თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დაავალა მიწადმოქმედების მინისტრს ნოე ხომერიკს, ხოლო სამხედრო მინისტრის მოვალეობის აღსრულება — გენერალ ლეიტენანტ ოდიშელიძეს.

◆ **გლეხთა ცენტრის სხდომა.** დღეს საღამოს 6 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში გლეხთა ცენტრის სხდომა მოხდება.

◆ **გიორგი მაჩაბლის ცხედარი** გუშინ მოასვენეს. დღეს ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი რომლის შემდეგ ცხედარს გაასვენებენ კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად.

◆ **ქალაქის საბჭოს კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე ქალაქის საბჭოს სხდომაა დანიშნული.

◆ **მილიციაზე თავდასხმა.** მარტის 24 ღამის 1 ნახევარ საათზე ჩერქეზიშვილის ქუჩაზე 4 ბოროტმოქმედი თავს დაესხა მილიციონერს ვარლამ ლომიძეს, წაართვეს 120 მ. და ხანჯალი და გაქცევას აპირებდნენ, მაგრამ ერთი დამნაშავეთაგანი მძიმედ დასჭრეს და მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **არტაანი.** არტაანიდან იტყობინებიან, რომ 16 და 17 მარტს ოსმალებმა დიდძალი ხალხი გაჟლიტეს. ახალგაზრდა ქალები ტყვედ წაიყვანეს.

◆ **კოოპერატივ „იმერია"ს** დროებითი გამგეობა მოუწოდებს კოოპერატივში ჩაწერის მსურველთ საჩქაროდ ჩაეწერონ კოოპერატივის წევრებად. საწევრო ფული — 5 მანეთია საპაიო — 50 მანეთი. წევრად ჩაწერა, შეიძლება, „საქართველოს" რედაქციაში, ჩვენის პარტიის თბილისის ცენტრალ კომიტეტის ბიუროში (თამამშევის ქარვასლა) და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში — ივ. ძველიშვილთან.

კოოპერატივი დაიწყებს მოქმედებას აპრილის პირველს ნახევარში.

◆ **გაფიცვა კახეთის რკინის გზაზე.** მარტის 27-ს გაიფიცნენ კახეთის რკინის გზის მუშები, ხელოსნები და მოსამსახურენი. მუშების უკანასკნელ სხდომაზე გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: „სხდომამ ყოველ მხრივ განიხილა დღევანდელი საერთო მდგომარეობა, იღებს მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გაფიცვა დიდად დააზიანებს რევოლუციის ინტერესებს, დაადგინა წინადადება მიეცეს კახეთის რკინის გზის გამგეობას, მარტისთვის ჯამაგირი მუშებს მიეცეს ამიერ-კავკასიის დეკრეტის თანახმად, აგრეთვე დამატებითი ჯამაგირი ენკენისთვის და ღვინობისთვისა. აპრილის 1-მდე კი მუშაობა არ უნდა შესწყდეს.

◆ **ახალი ჯურის სპეკულიაცია.** ბოლო დროს ფულის საერთო სიმცირის გამო რუსეთში მიმავალ დათხოვნილ რუს მოხელეებს და სამხედრო პირებს ფულის მაგივრად ეძლევათ სახელმწიფო ბანკის ჩეკები, რომლის საშუალებითაც რუსეთში უნდა მიიღონ ფული. ბოლო ხანებში გაჩნდნენ ისეთი პირნი, რომლებიც დაკლებულ ფასებში, ხშირად ნახევარ ფასად სყიდულობენ ამ ჩეკებს. სპეკულიანტების წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები, ჩეკებს სრულებით ართმევენ და ციხეში აპატიმრებენ.

◆ **ფქვილის გამოტანის აკრძალვა.** თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით თერგის ოლქიდან ფქვილის გამოზიდვა აიკრძალა.

◆ **სატეხნიკო სექციის სხდომა.** პარასკევს, მარტის 30 საღამოს 7 ს. დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სატეხნიკო სექციის სხდომა.

◆ **საეკლესიო საქმეები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარტის 27 შეატყობინა თბ. ქართულ სასულიერო სემინარიის უფროსს, რომ რუსულ და ქართულ ეკლესიების ქონებათა გამოყოფ კომისიის მუშაობათა დასრულებამდე, ფაქტიური მოქმედება შეუძლებელია დაშვებულ იქმნას.

◆ **ღვინის გადაზიდვა.** რკინის გზებზე გადაზიდვის ბიურომ დაადგინა ნება დართონ ღვინის გადაზიდვისა მხოლოდ ამიერ-კავკასიის რკინის გზების დასავლეთ ნაწილში.

◆ ქუთაისში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა იუწყება, რომ 1 აპრილს დილის 10 ს. გაიხსნება კურსები ქუთაისის თანამშრომლების ეგზამენებისთვის მოსამზადებლად. მსურველები ეწერებიან პროფ. კავშირის შენობაში 5—8 ს.

◆ **კრება.** 29 მარტს, 4 საათზე დანიშნულია კრება გამოცდილ ნამსახურ ქართველ დების და ფერშალ ქალებისა, რომელნიც არიან ჩაწერილნი ქართველ ქალთა სანიტარულ რაზმში.

პარტიული ცხოვრება

◆ **საუბნო კომიტეტების კრება.** დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ცენტრალ კომიტეტის ბიუროში დანიშნულია შეერთებული კრება თბილისის ყველა საუბნო კომიტეტების წევრებისა. უნდა გამოცხადდენ ყველა უბნების კომიტეტები მთელის შემადგენლობით. უწყებები არავის დაეგზავნება. **დასწრება აუცილებელია.**

◆ **მთავარი კომიტეტის კრება.** დღეს შუადღის 12 ს. მთავარ კომიტეტის ბიუროში შესდგება ს. ე. დ. პ. მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია საჩქარო საკითხები შესახებ მომენტისა და აგრეთვე მორიგი საქმეები.

თელავი

ნ. ეგორომა გამოიგონა ახალი მელანი მუქი მოლურჯო ფერისა. მცოდნე პირები ამ მელანს ეხლანდელ სხვა მელნებს აჯობინებენ.

— **მკვლელების შეპყრობა.** მარტის 13. სოფ. ზემოხოდაშენში, ამ დღეებში დაიჭირეს და თელავში ჩამოიყვანეს წითელგვარდიელებმა თელავის მერვე პოლკის სამი გაქცეული ჯარისკაცი. ამბობენ, იმათ მოუკლავთ სოფ. ქისტაურის მახლობლად სიქულა თანდილაშვილი.

— ნავთი ქალაქში სრულიად გამოილია.

— შაქარი ქალაქის თვითმართველობამ მიიღო 1 ვაგონი.

— თავდაცვის კომიტეტმა გამოუშვა ქალაქში და სოფლებშიაც დაგზავნა საგანგებო მოწოდება. მოუწოდებს ყველას შეემზადონ მტერთან საბრძოლველად. ურჩევს თელავის მერვე პოლკის გაქცეულ ჯარისკაცებს დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახს, გადასცენ სოფლის კომიტეტებს იარაღი და დააბრუნონ ყაზარმიდან გატაცებული საქონელი.

ბაქოს ამბები

გოლზევიკ თალევის დეპეშა

ბაქო. მარტის 27. გოლზავეკ თალევი ატყობინებს ამიერ კავკასიის მთავრობას, ბაქოში სიწყნარე ჩამოვარდა. ამიერ კავკასიის კეთილდღეობისთვის ჩემ მოვალეობად ვსთვლი საყოველთაოდ განვაცხადო, რომ ბაქოს ამბებს არა ჰქონია სომეხ-თათართა შეტაკების ხასიათი. მთელ იმ ხნის განმავლობაში, რაც ბრძოლა სწარმოებდა თათრების რაიონში მცხოვრებთათვის ხელი არ უხლიათ. სომეხთა პოლკებმა კი 14000-ზე მეტი მაჰმადიანი გადაარჩინეს სიკვდილს და სპარსეთის კონსულის დახმარებით უკანვე დააბრუნეს. აღვიმაღლებ ხმას, ყველგან მოისპოს ყოველგვარი დასჯა და მტრული გამოსვლები. მე მგონია, რომ ეს შეეფერება საზოგადო ინტერესებს. ამიტომ გთხოვთ, ყოველივე დახმარებას მცხოვრებთა შორის სიმშვიდის და სიწყნარის განსამტკიცებლად. დეე, ყველა დაუბრუნდეს თავის ჩვეულებრივ მშვიდობიან საქმეს და ნუ აჰყვებიან პროვოკაციას.

პირდაპირი მავთულით

ბაქო. მარტის 27. სამხედრო სარევოლუციო კომიტეტისაგან—სეიმის თავმჯდომარეს ნ. ჩხეიძეს. ბაქოში მოხდა „ველურთა დივიზიის", ყოჩის ბრბოების, მაჰმადიანთა სხვა კონტრ-რევოლუციონურ ძალთა და კონტრ-რევოლუციონურ რუს ოფიცრების შეიარაღებული გამოსვლა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. საბჭოს შეიარაღებულ ძალთა და ბაქოში მყოფ სამხედრო ნაწილების შეთანხმებულ გამოსვლით კონტრ-რევოლუციონური გამოსვლა ჩაქრობილია. მოძრაობა სამოქალაქო ომის ჩარჩოებს არ გასცილებია. სამრეწველო რაიონში მშვიდობიანობა არ დარღვეულა. ეხლა ქალაქში სიწყნარეა. მაჰმადიანები, მაღლი წრეების გარდა, თავს იყრიან და კავშირდებიან დეპუტატთა საბჭოს გარშემო. შესდგა მაჰმადიანთა სოციალისტურ პარტიათა საგანგებო ბიურო. ახლო-მახლო სოფლებში სიწყნარეა. მშვიდობიანობას საფრთხეს უქადის მხოლოდ დაღესტნის პოლკი, რომელიც ხურდალანში ჩასაფრებული და ყველა მაჰმადიანთა სურვილის წინააღმდეგ უკან გაბრუნებაზე უარს ამბობს. დღეს სამხედრო მოქმედება დაიწყო. ცნობები გვაქვს, რომ სეიმს განუზრახავს ბაქოს საბჭოს მტრებს მხარი დაუჭიროს. ბაქოს მუშების სახელით, განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა, გაფრთხილებთ, რომ თქვენ არ ჩაიდინოთ ეს დანაშაული.

საბჭოს თავმჯდომარე **ჯაფარიძე.**

ბაქოს ბოლშევიკების თავმჯდომარე **ნანეიშვილი.**

მემარცხენე ესერების თავმჯდომარე **ხუხარცევი.**

აიოლლოს დეპეშა

ბაქო. მარტის 27. მენშევიკების პარტიის კომიტეტის თავმჯდომარე აიოლლო ატყობინებს სეიმის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძეს, „ბაქოს მენშევიკების ორგანიზაციამ მიუხედავად იმისა თუ ის როგორ უყურებს ხელმძღვანელ ბაქოს საბჭოს უპრინციპობის პოლიტიკას, თავის მოვალეობად მიაჩნია აქტიურად დაუჭიროს მხარი საბჭოს და მის ბრძოლას კონტრ-რევოლუციასთან, დაღესტნელთა შემოსევა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონტრ-რევოლუციონურია და ვსთხოვთ სეიმს დახმარება აღმოუჩინოს ბაქოს საბჭოს დაღესტნელებთან ბრძოლაში; ეს შემოსევა ბაქოს აშლილებულ მცხოვრებლებს დიდს უბედურებას უქადის.

რადიო

ბაქო. მარტის 26. ჟორდანიას, ჩხეიძეს, გეგეჭკორს, რამიშვილს ტერ-გაზარიანისაგან. მარტის 21-დან ბაქოში სიწყნარეა, გუშინ ცნობა მოვიდა, რომ დაღესტნიდან ცხენოსანთა პოლკი ჩამოვიდა სად. ხურდალანზე, ბალაჯარის ჩრდილოეთით. ამ პოლკმა დღეს სამხედრო მოქმედება დაიწყო—ბინა-გადის მიმართულებით. ცნობებია, რომ ბაქოზე სამხედრო ძალები მოდის თბილისიდან, განჯიდან და სხვა ადგილებიდან. ბაქოში ის იყო სიწყნარე მყარდებოდა, მაგრამ მდგომარეობა ისევ მწვავდება. ყველა პოლიტიკური და დემოკრატიული რევოლუციონური პარტიები შეუერთდნენ ბაქოს დეპუტატთა საბჭოს ბაქოს რაიონის დასაცავად. ბაქოზე გამოლაშქრებულთა წინააღმდეგ საბჭოს განკარგულებაში ყავს საკმაოდ დიდი სამხედრო ძალები და საომარი მასალა აქვს, რათა შემოსეულნი უკუ აქციოს და შეტევაზედაც გადავიდეს. მიუხედავად ამისა შესაძლებელია ყველაფერი მშვიდობიანად ჩატარდეს. ამისთვის საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა იქნეს შეჩერებული ბაქოს წინააღმდეგ წამოსულ ჯავშნიან მატარებლების და სამხედრო ძალების მოძრაობა. არავითარი გამოსვლა სეიმის ძალებისა არ არის შეთანხმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ამის შედეგი დამღუპველი იქნება მთელი ამიერ-კავკასიისთვის. სრული მოხსენებისთვის თქვენთან წამოსვლას ვაპირებთ. მიიღეთ ზომები, რომ ჩვენი ჩამოსვლა თბილისში უზრუნველვყოთ. გაფრთხილებთ, რომ მაჰმადიანთა პარტიები მაჰმადიანებისავე და მთელი ამიერ-კავკასიის ინტერესების დასაცავად არ უნდა გაიტაცოს ბაქოს საბჭოთა უფლების დაცემის სურვილმა. ბაქოს რევოლუციონური ორგანიზაციები, ყოველ ეჭვს გარეშე ეს, გაილაშქრებენ ბაქოზე მომავალ ძალების წინააღმდეგ. გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ თქვენი მთავრობის პასუხი. მთელ სეიმს, რომ დასჭირდეს აქ ჩამოსვლა მშვიდობიანობის დასამყარებლად, ესეც კი უნდა მოხდეს უბედურების თავიდან ასაცილებლად.

შავ ზღვაზე

ჩვენი ფლოტის უფროსი ჭავჭავაძე დეპეშით იტყობინება მარტის 24 საზღვაოდ გავიდნენ მმუსრავი „გურული" და „იმერელი". მმუსრავებმა ორტისა და ხოფთან აღმოაჩინეს მტრის რამდენიმე ფელუგა და 4 დატვირთული—რეიდზე. ხოფისა და არხავეს შუა შენიშნეს 10 დატვირთული ფელუგა. მმუსრავემა სროლა აუტეხეს ძველ სიმაგრე „გონია"-ს, რადგან შეატყობინეს რომ იქ ჩეტნიკები შეფარებულიყვნენ. მმუსრავებმა ლიმანის პასტთან ცეცხლით გაანადგურეს მტრის ერთი ნაწილი. დღეს დაბრუნდა მარტის 20 გაგზავნილი შეიარაღებული შხუნა „მესხეთი" საეჭვო ფელუგები და გემები სოხუმისა და ოჩემჩირის ნაპირებზე შხუნას არ შეხვედრია.

მარტის 27 ცნობა.

დღეს ზღვად გავიდა მმუსრავი „მეგრელი". უფროსობს ჩემი შტაბის უფროსი. № 320 ნაღმის მკრეფელმა საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ქოროხის მარცხენა მხარეზე მტრის მიერ დაპყრობილ სიმაღლეებს.

ფლოტის უფროსი ჭავჭავაძე.

სიტყვა,

თქმული სიონის ტაძარში ხარებობის დღეს 1918 წ.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ორი, ერთი მეორეზე ბრწყინვალე, ერთი მეორეზე სანუგეშო სარწმუნოებრივი შემთხვევა: ხარება—ერთი მხრით და მეორე მხრით—თაყვანისცემა ცხოველმყოფელი ჯვარისა—შეერთდნენ და ერთი მეორეს გადეწვნენ დღევანდელ დღეს. ასეთი იშვიათი გარემოება რომ ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს მოხდარიყო, თქმა არ უნდა, იგი აღფრთოვანებაში მოიყვანდა, უზღვავი სიხარულით აავსებდა და მძლავრად აამეტყველებდა ღვთის მსახურ მქადაგებელს. ციდამ გამოგზავნილი მახარობელი რომ დავრდომილს და გზადაბნეულ ქვეყანას მხსნელად და მაცხოვრად ევლინება ძე ღვთისაო, ერთი მხრით, და ჯვარი პატიოსანი, როგორც ხმა მღაღადებელი უდაბნოსი, რომ ამ ქვეყანად არ არსებობს მორწმუნეთათვის არავითარი სიძნელე-დაბრკოლებათა შეუძლებლობა—მეორე მხრით, ისეთი მადლიანი საგნებია, რომ მუნჯსაც აამეტყველებენ და ენაბრგვილსაც ადვილად მოაქსოვინებენ საოცნებო ფერადებით შემკობილ მეტყველების საუცხოვო ხალს.

მაგრამ, განა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა ამ ჟამად ჩვეულებრივია?! განა ის ამბები, რომლებიც ჩვენს გარშემო მეორდებიან ყოველ საათს ბუნებრივი ხასიათისა და თვისებისანი არიან?! განა შემიძლიან საზეიმო, აღფრთოვანებული სიტყვით გამოვიდე დღეს თქვენ წინ, როდესაც უეჭველი მოწმე ვარ ცხინვალის ამბებისა, ბათუმის მხრიდან მოსალოდნელი განსაცდელისა, ახალციხის ამბოხებისა, გორისა, სიღნაღისა, თელავისა და დუშეთის მაზრებში ძმათა ხოცვა ჟლეტისა?! შემიძლიან დღესასწაულისა და სიხარულისკენ მოგიწოდოთ მაშინ, როდესაც ორ გაზეთს ვერ წაიკითხავ ჩვენში ისე, რომ ძენი ძმებს არ ებრძოდნენ და ერთი მეორეს სამშობლოს დამაქცევლად არა სახავდნენ, რაც ქსაქსავს, გზას უბნევს, ასუსტებს და და არსებობის უნარს უკარგავს მშობელ ერს?! არა, დიდ მახარობლად მოვლენილ მთავარანგელოზ გაბრიელის სურათი და სახე ჩემი! ასე ჯვრისა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაში კი არ მაფრთოვანებს და ენაწყლიანობით მმოსავს, პირიქით ისეთ მწუხარებაში მაყენებს, რომ გული პატარა წერტილად მეკუმშება, ძარღვებში სისხლი მიშრება და მეტი შიშისაგან თვალებში მომდგარი შავი წყალი მხედველობას მაბნელებს.

დღევანდელ დღეს სულ სხვა მოგონებისკენ მიმაქვს ჩემი აზრი და გონება.

შემოდგომა იყო. ქუთაისის მიდამოს აშუქებდა ის მომხიბლავი და ნაზი მზე, რომელსაც მხოლოდ დასავლეთი საქართველო იცნობს. რკინის გზის სადგურთან მოზღვავებულიყო აღფრთოვანებული ხალხი ბრძოლის ველზე წასასვლელად გამზადებულ ახლად შემდგარ ქართულ მოხალისეთა რაზმისთვის სამშვიდობო პარაკლისის გადასახდელად. სარკესავით მოკრიალებულ ლურჯდოვან ცაზე მოულოდნელად ამოეჭედა სხივმფენი გამოხატულება ჯვრისა...

„ეს მზის სხივების შემთხვევითი გადახლართვაა, ე. ი. სრულებით ბუნებრივი მოვლენაა", აუწყეს განცვიფრებაში მოსულ მნახველებს ახალი მიმართულების კაცებმა და ყველაფერი მიწყნარდა, ყველამ სინამდვილედ მიიჩნია ამგვარი განმარტება!

გავიდა დრო, გათავდა უბედური, ღვთისაგან არა ნაკურთხი ომი, ქუთაისს დაუბრუნდა იგივე ქართული რაზმი და რამდენიმე დღის შემდეგ ადგილობრივმა გაზეთებმა გვამცნეს: ქუთაისი ჯვარს აცვა, აწამა, დაარბია და აიკლო ხსენებულმა რაზმმაო!

ამის შემდეგ ყველასთვის ცხადი შეიქნა საოცარი ჩვენების ნამდვილი აზრი!

ძვირფასნო მსმენელნო! გორის, ახალციხის, სიღნაღის, თელავის მაზრების და ცხინვალის საშინელებებს აწარმოებენ უმთავრესად იმავე უკუღმართი ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და ჩვენც ყველანი ისევ ძმა ძმას ვეკამათებით, წოდებას წოდებაზე ვამხედრებთ, საზოგადოებაში პარტიულ ბრძოლის ქიშპებს არ ვანელებთ და ამიტომ დაუჯერებლად ნუ გეჩვენებათ ჩვენი რწმენა, რომ დღევანდელ სასიხარულო შემთხვევასთან ჯვარის შეერთებას ჩვენ ვთვლით ამ ოთხი წლის წინათ ქუთაისში მომხდარი გამოცხადების გამეორებად.

ჯვარი სიმბოლოა, ნიშანია ვაებისა და ტანჯვა-წამებისა. ყოვლისავე ეჭვს გარეშეა, რომ ამ ტანჯვა-ვაების სიმბოლოს შეერთებით ხარების დღესასწაულთან ცისა და დედამიწის უფალი, ზეციერი მამა ჩვენი, გვაფრთხილებს: თუ დაუყოვნებლივ არ მოსპობთ ურთიერთის დევნას, მტრობას, შუღლს და განხეთქილებას, თუ საზოგადო განსაცდელის წინ ჯვრის მხრებივით ერთი მეორეს არ გადაეჭდევით და არ გაიღრმავებთ ურთიერთისადმი ძმობა-ერთობის გრძნობებს, საკუთარივე ხელით გაილესავთ თქვენი ყელის გამოსაჭრელ მახვილს და სულ ახლო მომავალში მოგესპობათ არსებობაო.

საყვარელნო! განა ეს სათუოა? განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ თუ ესეთი აჩქარებით განვაგრძეთ ერთმანეთის ჟლეტა და რბევა, ბრწყინვალე ადგომამდინაც ვეღარ მივაღწევთ, რომ მთელი ჩვენი სამშობლო ჯოჯოხეთურ პაიკონად აპრიალდება ოსმალებისა, გერმანელებისა, ინგლისელებისა, რუსებისა და ვინ იცის კიდევ ვის საამოდ და სადღესასწაულოდ!

კაცთა შორის კავშირისა და ქამისებური საზოგადოების მოსპობის გულისთვის ჯვარცმის დამთმენო მაცხოვარო ჩვენო! მოგვმადლე ულირსთა მონათა შენთა სული ძალთა სიყვარულისა, მოგვანიჭე ძალა და ღონე დედა სამშობლოსადმი შვილებრივი პატივისცემით მოპყრობის უზენაესი ნეტარების განცდა, დაამშვიდე ცხოვრება ჩვენი და გვიხსენ ჩვენ შორის თანხმობა-ერთსულოვნობის განმტკიცებით კარზე მომდგარ შორეულ და მახლობელ მტერთა საზიანოთაგან! ამინ.

მიტროპოლიტი ლეონიდი.

დღევანდელი ოსეთი

(ქართლში ოსების გამოსვლის გამო)

საქართველოს მთები უწინ სულ ქართველთა მთიულებით იყო დასახლებული. ამ მთებს დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდათ. ეკონომიური მით, რომ მესაქონლეობა ვითარდებოდა მის ალპიურ საძოვრებში, ხოლო პოლიტიკური მით, რომ ეს მთა იძლეოდა მკლავით ძლიერ მებრძოლთ, რომელთაც საქართველო მრავალ გზის გადაურჩენია უბედურებისაგან. გარდა ამისა, ბარში ამოწყვეტილ ქართველების ნაცვლად მთიულები ჩასახლდნენ. ქართლს ერთ დროს დიდი უბედურება დაატყდა, ბარში ხალხი მტრებმა და ჭირმა ამოსწყვიტა და დაცარიელებული ქართლი, ქართლის მთის დვალეთისა და მაღლა დოვლეთის მოსახლე მთის ქართველებმა დაასახლეს, რომელთაც ქართლში მრავალ ცარიელი ადგილი თითქმის მთელ მაღალ დოვლეთის და დვალეთის ქართველები გადმოსახლდა და ეს მთა დაიცალა. აქედამ, ამ მთიდგან, რომელსაც ეხლა სამაჩაბლოს და საერისთაოს ეძახიან, გადმოსახლებულ

თ, უწინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარები არიან—ხაჰაპურიძეები, სოფელ ხაჰაპურეთიდგან, ჯავის ახლოს, ელბაქიძეები, ს. ელბაქიანთ კარიდგან, ს. კოშკას ახლო, თრამაქაძეები ს. მსხლებიდან, მაისურაძეები ს. წიარადგან, რომელ მამულებს ეხლაც ოსები „მაისურათ ხომ“ მასურეთ მიწას ეძახიან მაჩაბლები,—სოფელ სოხოდგან, სადაც რკინის, ტყვის, სპილენძის მადნები ყოფილა, და მიგვალი ციხე სიმაგრეა და სხვა მრავალნი, რომელიც ბევრი თბილისშიაც ჩამოსახლებულა და წარსულ საუკუნის დამლევს კიდევ ახსოვდათ თავიანთ მამა პაპის სალოცავი ს. ედისაში.

სამაჩაბლო და საერისთავო მთა, ძველებურათ მაღლა დღეებთი, უდიდესი მთებია საქართველოში. მდებარეობს, თრუსოსა, კაცკავის მხარესა, ქისა, შორაპნისა და ქართლის შაის შუა. ქართლის უბედურების დროს, მტრის შემოსევისაგან, ხალხი აქ ამ მთებში იხიზნებოდა ცოლშვილით და ქონებით, გადასავალი გზები დიდი და ვიწრო ლიახვით კეხვსა, სვერსა, ვანისა, რომელ ვიწროებში ჰქონდა რიაკენ, თრუსოსკენ, შორაპნისკენ, ლო შესავალი გზები დიდი ციხეები არიან ამართულნი და მორიგეც იბ,გა ხოლმე, და მტერი უკვე ამ ციხეებს ვერ შეუვიდოდა და გახიზნული ხალხი მშვიდობით რჩებოდა. აქ არის სოფელი სახიზარი, რაც ხიზნისგან არის წარმომდგარი. სახელები ამ სოფლებისა სულ ქართულია, ძველი ქართული ეკლესიების ნანგრევებით, რომელთაც აქ მცხოვრებელი ოსები ისე არა სცემენ თაყვანს, როგორც თავიანთ ეჩილებსა. ამ სოფლების სახელები: გუფთა, იქ არის შენობა, რომელსაც საკანს ეძახიან ოსები და ლოცულობენ, ეს გალავან შემოზღუდული უკარი ხარია.

მსხლები, ლეღვცემა, ჯავა, კოშკაროსა, ტონტორეთი, კვაშის თავი ჯრია, ბუზალა, ზალდა და სხვანი. ეს დაცლილი, ქართველებისაგან ქვეყანა შევსებულა თანდათანობით ჩრდილოეთ ოსეთიდან ლტოლვილ ოსებისგან, რომელთაც აქ ჯერ კარგი სანადირო ადგილები ამოურჩევიათ მაღლა დღეში იქაურ დიდ მუხვე წყლებთან, ადაც მრავალ ირმებს, არჩვებს ჯიხვებს და სხვებს ჰხოცდნენ, მერე ქვე კარგი მოდის. ნელ-ნელა ეს ნაო ქვეყანა დასახლებულა, რომელ ერისთავები და მაჩაბლები ეპატრონებოდნენ და დღემდის მათ კუთვნილებას შეადგენდა და შალბაშას, ღალას, საძოვრის გადასახადს აძლევდინებდნენ. თუ უწინ ქართლის ცარიელ ადგილებს აქაური მთიელი ქართველები ასახლებდნენ, ბუნებრივად, ახლა ოსებმა დაიწყეს ბარში დენა, ამიტომ დღეს შუაგულ ქართლის სოფლებში მრავალ გაქართველებულ ოსებს შეხვდებით, რომლებიც დღესაც გადაჩარდახებულ ქართულ ურმებით და ქართულად ჩაცმულებს, ოსების წმინდანების სალოცავად წასულებს. ოსებით დასახლებული ეს ქვეყანა, რჩებოდა კვლავ სახიზნავ კუთხეთ ქართლის უბედურების დროს და დღესაც ეგრე ეგულებოდა ხალხს. მაგრამ აწინდელმა ოსების გამოსვლამ ეს საფარიც დაახშო, და ქართლი, მომავალ უბედურების დროს, უსაფროთ დარჩა.

საინტერესო ის არის რომ ოსების გამოსვლა ჯავის ხეობიდგან კი არ დაიწყო, არამედ ზემო ქართლში დასახლებულ ოსებიდგან, რომელთა გადმოსახლებას სულ ახლო წარსული აქვს თითქმის ჩვენ ხსოვნაში 80 გინდა 90 წლის ისტორიით. ეს ოსები არიან ეგრედ წოდებული ხიზნები. ხიზნები დასახლდნენ ნაოხარ ქართულ ნასოფლარებში, სადაც კიდევ იყვნენ დარჩენილი კანტი-კუნტად ქართველი მოსახლეობა, რომლებიც შემდეგომ აიყარნენ და მთლად ოსებს დაუთმეს თავიანთ მიზომილი ნადელები: დათაშვილებმა, თვალიაშვილებმა, ცგრაძეებმა და სხვებმა. ეს ნასოფლარები არიან თავიანთ შესანიშნავი თლილი ქვის ტაძრებით, ძველი ხუცური წარწერებით, რომელთაც ისე ემტერებიან ოსების მასწავლებლები—ძველი ციხე კოშკებით, სასახლეებით—: დამპალეთი, დოდოთი, რუსთავი, ძარი, ბრილი, ყორნისი, ამ უკანასკნელში ერთათ ერთი მოსახლე ქართველი, ისიც თითქმის გაოსებული ხერხეულიძის ოჯახი, ამოსწყვიტეს ოსებმა, წორბისი, მალდა, თერგვები, ოქონა, ველები ძალიან სადაც ცხოვრობდნენ, ფალავანდიშვილები და სხვანი მრავალი, რომლის დასახლებით მიესპოთ ნამდვილ მეპატრონე ქართველებს ტყისა, საძოვრისა და სახნავ სათიბების სარგებლობა და ხატების თაყვანის ცემაც კი.

შემდეგში ოსების გადმოსახლება საციციანო მთაში და ბარშიც დაიწყო. ყველა ეს გადმოსახლებულები ქართულ კულტურის და ენის გავლენით ქართველდებოდნენ. ამიტომაა, რომ ბევრს მათგანს ქართულ პარტიებში და ყროვნულ საქმეშიაც კი შეხვდებით.

ქართულ ენას კარგად ლაპარაკობენ მთის სოფლებშიც მაგალითად: ქეშელთაში, ამ მივარდნილ კუთხეში. ამასთანა ქართული გავლენით შეფერიანებული ოსების ნასწავლი სტუდენტობა და სულიერი მამები და მასწავლებლები, წინ აღუდგნენ ბუნებრივ მსვლელობას და დაიწყეს მუშაობა, რათა გამოებრუნებინათ ოსები გადაგვარების გზიდგან, და შეექმნათ ერთი ძლიერი ერი იმიერ და ამიერ კავკასიონის მთებზე და მის ფერდობებზე მოსახლეობით—ოსეთი. მცირე, მაგრამ ენერგიულმა ოსების სტუდენტობამ, სამღვდელოებამ, მასწავლებლებმა და ვაჭრებმა საქმე დღევანდელამდის მოიყვანეს—მათ ყოველივე ნიადაგი მოამზადეს ამ ოსების გამოსვლისთვის. ნაოსარ ქართველებში შეიტანეს შეგნება, რომ ისინი მათი ძმები არიან, ჩააგონეს დაბრუნებოდნენ ოსობას, ურჩევდნენ ეთხოვნათ ოსის ქალები, რომლებიც უფრო მხნეები არიან, ვიდრე ქართველი ქალები. (წისქვილებში რამოდენიმე ფერსზე ზურგით საფქვავს ეზიდებიან, მკიან, ბოსელს ხვეტენ წყალს ზიდვენ შეშას და სხვა). შარშანდელ ეკონომიურ აღწერილობების დროს, ფილიპე მახარაძის შემწეობით და ჯიოევის მეცადინეობით ამწერლებათ სულ ოსი მღვდლები, მასწავლებლები და მათი ქალები და ვაჟები გამწესდნენ, რომელ ქართულ სოფელშიც მიუდგნენ და გაიგონეს ოსის გვარის მატარებელი ქართველები, ჩასწერეს „ოსეტინად“, ვინც ცოტა ოსური იცოდა და ვინც არა ის „იზ ოსეტინა-“დ. ნაოსარი ქართველებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ. (თუმც, ჰქონდა დუშეთის მაზრაში ამ ნაირსაც ადგილი. კინაღამ ქეტები მოხვდით ოს აწერლებს ქართველობისგან) რადგან მამულს ჰპირდებოდნენ, აი პირველ გამოსვლაზე ოსებმა, დაწყობილი საციციანოდგან ვიდრე სამაჩაბლომდის ნაოსარი ქართველები გაჰყვნენ და მიარბიეს მანე და კულტურიანი მეურნეებიც, დემოკრატობის მატარებელნი და მოქმედნი თვით გორის მაზრის კომისარს, გიორგი მაჩაბელს, მაშინვე ემუქრებოდნენ, დორიდეთ თავის მოჭრას და აკი ასრულეს კიდეც. ოსების აგენტები ქურდულად ყველა ქართულ დაწესებულებებში არიან, ისე ოჯახებში, მეზობლებში და ამ რიგათ დღეს საშინელი ოსების მუხრუჭში იჭყლიტება ქართლი სამხრეთით თრიალეთის მთის და ფერდობებიდგან, დასავლეთით საფალავანდიშვილოდგან, ჩდილოეთი და ჩდილო აღმოსავლეთიდგან სამაჩაბლო და საერისთაოდგან და თუ ლილოსაც მიაგნეს, აღმოსავლეთიდგანაც.

ა. დ.

საქართველოს ბედი

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა აუტანელია და მომავალი წარმოუდგენელი. ჩრდილოეთიდან წამოსული ანარქიის ტალღები ჩვენს მხარესაც მოედო.

დღეს საქართველოში ჰხდება მეტად შემაძრწუნებელი ამბები: ჯარის-კაცების თვითნებობა, ძარცვა-გლეჯა, მთელი პროვინციის კანონს გარეშე გამოცხადება, ავაზაკური ხოცვა-ჟლეტა, „პოგრომები“ ბოლშევიზმის სახელით და სხვა ამგვარი.

ყველა ამ ჩამოთვლილებს აქვს ალაგი ქართველებში. ჩვენს სპეციალისტებს ეგონათ და ჰგონიათ, რომ ქართველები მოამზადებულნი და სოციალისტები არიან—სინამდვილე კი სხვას გვაუწყებს—ეს ასედაც უნდა იყოს იქ, სადაც მთავრობა არავითარ ძალას არ წარმოადგენს, პარტიულია, ეყრდნობა რომელიმე ძალაზე სახელმწიფოსი, ასეთი მთავრობა იქნება უძლური და შექმნილი ანარქიისა, მანამდე, სანამ არ იქნება აღდგენილი წესიერება. მხოლოდ ამ უკანასკნელისათვის კი საჭიროა ისეთი რეალური ძალა, რომელიც აღადგენს წესიერებას შიგნით და გარეთ კი თავდამცველი იქნება სამშობლოსი. განა ამას კიდევ მტკიცება ესაჭიროება მას შემდეგ, რაც რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ გაყიდა რუსეთი?

ნუ თუ ერთი წლის მაგალითმა არ დაგვიმტკიცა, რომ სოციალისტური მთავრობის საქმიანობა ფუჭი წყლის ნაყვაა?

თუ ჩვენ გვინდა არ გვეწიოს ის, რაც ბედად ეწვია კერენსკისა და ბოლშევიკების მთავრობას, თუ მართლა შევატკივა გული ქართველ მშრომელ ხალხის ბედნიერებისათვის, რომ ეს ხალხი არ ეწირებოდეს პარტიულ ინტერესებს, ამ მოვლენას ყველა ქართველმა განურჩევლად პარტიული რწმენისა უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან ქართველი ერი ფიზიკურად და ეკონომიურად წარმოადგენს სუსტ ძალას. ყოველივე დახარჯული ძალა უნდა ხმარდებოდეს ერის მათემატიკურის სინამდვილით და ანგარიშით, დაზოგვით. მიღწევა, შექმნა წესიერების, განთავისუფლება საქართველოსი, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ერი მთლიანია. გაერთიანებული ქართველი მოგვცემს ისეთ მთავრობას, რომელიც იქნება აღჭურვილი [illegible] და რეალური ძალით.

მაშ, გაუმარჯოს ერთ მხსნელ მთლიან დამოუკიდებელ ქართველობას.

ფ. [illegible]თელაძე.

კორესპონდენცია

კახეთიდან

მიუხედავად იმისა, [illegible] ეხლა ხშირად სიკვდილით ისჯებიან [illegible] სოფლის მცხოვრებთაგან თვითგას[illegible]თლების მსხვერპლნი ჰხდებიან, ქვეყა[illegible]ძარალა ქურდ-ყაჩაღები მაინც გ[illegible]რძობენ თავიანთ სამარცხვინო [illegible]ობას და მოსვენებას არ აძლევენ [illegible]ის მშვიდობიან სოფლის მცხოვრებთ: ისე არ გავა, რომ რამდენიმე ა[illegible]ლას არ მოხდეს ამა თუ იმ სოფელ[illegible] დაცემა, წვრილ ქურდობას ხომ სათვალავი არა აქვს. აგრეთვე ხშირია გზებზე დაცემა და მგზავრების ძარცვა. ცხადია ასეთ და რაღა თქმა უნდა ტყეები რომ გაიფოთლება, უარესს უნდა მოველოდეთ. ამ დღეებში სოფ. ურიათუბნის მახლობლად გაძარცვეს მგაქლემე თათრები, რომლებმაც ჯერ თელავში მოიტანეს ნივთები გასაყიდად, შემდეგ სოფლებში ჩამოატარეს. მძარცველები მარტო ფულების და ნივთების წართმევას არ დასჯერდნენ და ერთ აქლემს კუდიც მოაჭრეს. გაიგეს თუ არა ეს ამბავი სოფლელებმა, მაშინვე [illegible]ედევნენ მათ ძებნას და მალე შეიპყრეს ძარცველები, წაართვეს თათრების განაძარცვი და მათ თვალწინვე ტყვიით დახვრიტეს სამივე. სოფელ ოყამში კიდევ შეუცვივდნენ ერთ მეწისქვილეს ბოროტ-მოქმედნი, ფქვილები წაართვეს და მოჰკლეს მეწისქვილე. იქვე იმავე დღეს შეიპყრეს 2 დამცემი და სასოფლოდ ჩაქვავეს. სოფ. ზემოხოდაშენში კიდევ აღმოაჩინეს გლეხებმა ამას წინად ქისტაურის სახლობლად წითელგვარდიელის თანდილაშვილის გამტაცებელი. მკვლელები სამი კაცია, მაშინვე აცნობეს თელავის კომისარიატს მათი ბინა უსახელო წერილით. თელავიდან გაიგზავნა წითელ გვარდიელთა როტა 1 ტყვის მფრქვეველით, ალყა შემოარტყეს ნაჩვენებ სახლს და წინადადება მისცეს დანებებოდნენ, ისინი მაშინვე დანებდნენ და იარაღი გადასცეს გვარდიელებს. სამივე დაპატიმრებული ჩამოიყვანეს თელავში და 1 კვირის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს 3, ხოლო ერთი გაამართლეს, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღო თანდილაშვილის მოკვლაში და თავის ამხანაგებისთვისაც ბევრი ეშალნა მის სიკვდილზე, მაგრამ ვერაფერი გაეწყო.

ადგაზნისპირელი.

ღია წერილი

(ილიკო შენგელიას და ნიკოლოზ მდივნის საქმის გამო)

ამით ვაუწყებთ მეთორმეტე არმიის ქართველ მხედართა კომიტეტის წევრებს, ჩრდილოეთის ქართულ პოლკის კომიტეტის წევრებს, გ.გ. კოდუას, ნიკოლოზ მდივანს, ვალერიან კახიძეს, ილიკო დარჩიას და ევტიხი კლდიაშვილს, რომ ილიკო შენგელიას და ნიკოლოზ მდივნის საქმე, რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა კომიტეტმა მიანდო შემდეგ პირებს: [illegible]თიკო წერეთელს, ერმილე მადრა[illegible], ბეითალ ბენედიქტე ლეჟავას და [illegible] მიხეილ იმნაძეს, რომლებიც [illegible]მართ მოიწვევენ ვინმე საზოგ[illegible] მოღვაწეს, მიუდგომელ პიროვნებს.

საქ[illegible] გაირჩევა ქ. თბილისში 28 აპრილ[illegible]ლი სტილით.

პრეზ[illegible]მი უმორჩილესად სთხოვს ზემო და[illegible]ლებულ პირებს და კომიტეტის [illegible]ებს დანიშნულ დროს უსათუოდ [illegible]ნენ თბილისში რათა საქმე არ გ[illegible]დოს.

მისამართი [illegible]რის კაცის რედაქცია.

კომიტეტის თავმჯდომარე
მიხეილ იმნაძე.
მდივ[illegible] ილიკო დარჩია.

P. S. უმორჩილესად ვსთხოვთ თბილისის და ქუთაისის ყველა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

კალენდარი

ხუთშაბათი, მარტის 29

მე-25 დღე დიდ მარხვისა.

ქართვ. ღ. მამ. ჩვ. მარკოზ არეთუსის ეპისკოპოზისა და სხვ.
კათოლ. წმ. ევსტატესი და [illegible]გასი.
მაჰმად. პანჯ-შამბე 28 რ. ჯამადულ-ახირ 1336 წ. ჰიჯრ.
ებრაელ. იომრევიყი 28 რ. ნისა 5678 წ. ქვეყ. შექმნ.

აჭარლების ღალატის გამო

მუჰამედ ზარიფ ფაშა ჯაყელი

ისტორიულ წყაროებიდან სჩანს, ომ ეს ფაშა ყოფილა პირდაპირი ამომავალი იმ უსუფ ფაშა ჯაყელი, რომელიც იყო უკანასკნელი ფაშა ყელების გვარის და რომელიც სამე-საათაბაგოსაც განაგებდა 1744 წ. ოდეს უსუფ ფაშის სიკვდილის დროს, 1744 წ. ეს ზაბითი პატარა ყოფილა, ტომ არ გაუფაშებიათ. შემდეგ კი ოცა ეს გაზრდილა, მაშინ უკვე სამც- ფაშათ სხვა ყოფილა დადგენილი ლციხეში. შერიფ ფაშას და ზაბით შასაც ოსმალეთის მთავრობა, სამცე საათაბაგოში ცხოვრების ნებას არ აძლევდა. რომ ათაბაგური წესებისათვის დავა არ დაეწყოთ, ამიტომ ესენი საქართველოდამ გაძევებული ჰყავდათ. მაინც ალთ მოახერხეს და ოსმალოს მთავრობის ნებართვით სამცხე საათაბაგოში დაბრუნდნენ საცხოვრებლათ.

როგორც შერიფ ფაშამ, ისევე ზაბით ფაშამაც დაახლოვებული კავშირი პირდაპირ ქართლის და იმერეთის მეფეებთან. კავშირი იყო ამათი ერთმანეთში მისვლა-მოსვლითაც, პურ-მარილით და პატივით. ამ მეფეებთან ზაბით ფაშას უფრო აშკარათ ეჭირა კავშირი, ზაბით ფაშა ერეკლე და სოლომონ მეფის დახმარებითაც ფიქრობდა ოსმალოს საქართველოში ათაბაგების წესების დამკვიდრებას. ზაბით ფაშა რამდენადაც სამცხე საათაბაგოს ბედზედ იყო უკმაყოფილო და უმადური, აგრეთვე მეტად იგი ემდურებოდა იმ გარემოებასაც, რომ ქართლ-კახეთის სამეფო, მეფე ერეკლეს დროს, სპარსთაგან დამოუკიდებელი იყო. ეს ერ სწყინდა ზაბით ფაშას, ნამე- წოდება „ვალი გურჯისტანი“.

წ. ცნობების გამო, ზაბით ფაშა ერეკლეს წერილებსა სწერს ვის სინანულს უცხადებს საქარლოს უბედურების შესახებ, თან ჩევს, რომ მეფე ერეკლე ოსმალეის მფარველობის ქვეშ შევიდეს. ზაბით ფაშა ასევე ურჩევდა გიორგი მეფეს და ამის შვილს დავითსაც, აუწყებდა ამათ, რომ ოსმალეთის ხელში ყოფნა ჩვენთვის უკეთესი იქნებაო, რადგანაც სამუსულმანო საქართველო და გურჯისტანი შეერთებული ვიქნებითო.

ზაბით ფაშა ამისთანა აზრებს ავრცელებდა მთელს ქართველ მაჰმადიანებში და მასთან ყველას ურჩევდა, რომ ქართველებთან სიყვარული ვიქონიოთ, რადგანაც ჩვენი სისხლი და ენა ერთი არისო, ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ ყველანი ერთად ვიქმნეთ და არა დაყოფილნიო. ამიტომაც ზაბით ფაშა აწყურში სცხოვრებდა და აქედამ მოქმედებდა ქართლის ხალხში და სამცხე-საათაბაგოს ქართველ მაჰმადიანებზედაც.

აწყურიდამ ზაბით ფაშა იმერეთშიაც ხშირად გადადიოდა და სოლომონ მეფეს დიდათ აფრთხილებდა ამ: თქვენ რუსებმა არ მოგატყუონო, თორემ საქართველოს საქმე სულ დაიღუპება, მე და შერიფ-ფაშა ვეცდებით, რომ სპარსეთიდამ ალექსანდრე ბატონიშვილი შემოვიყვანოთ, საქართველოდამ რუსები განვდევნოთ და ალექსანდრე გავამეფოთო. მაშინ თქვენი სამეფო და ალექსანდრე მეფეც ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იქმნებით და ჩვენც სულ შევერთდებით. მაშინ იმერეთის სამეფოს ვეღარავინ მოშლის, ჩვენც ათაბაგის წესებს აღვადგენთ, ამის ნებას ოსმალნი მოგვცემენ. ზაბით ფაშამ სოლომონ მეფეს განუმარტა შერიფ ფაშას სიტყვა, რომ „მე და შერიფ ფაშა თქვენთვის თავს გავწირავთო ოღონდ თქვენ ბრძანდებოდეთ მაგრათ, რომ რუსებმა არ მოგატყუონო. ზაბით ფაშა ასეთ ქადაგებას ჰფენდა მთელს სამუსულმანო საქართველოში, ამ რჩევას ეს სათითაოთ ატყობინებდა აჭარის ბეგებს. ლივანის, მაჭახლის, შავშეთის, ქობულეთის და მესხეთ ჯავახეთის. ერთი სიტყვით მთელს სამუსულმანო საქართველოს ერს ამას უქადაგებდა.

სამწუხაროდ ჩვენდა, თუმცა ამ დროს, საქართველოში შემოსულ რუსის ახალ მთავრობას, მაჰმადიანებში შეუყიდულმა კაცებმა შეატყობინეს საქართველოს რუსეთის მთავარ მართებელს, რომ ზაბით ფაშა იმერეთში სცხოვრობს და სოლომონ მეფეს ამაგებსო, ამის გარდა, მას წადილი აქვს, რომ თბილისში ალექსანდრე ბატონიშვილი შემოიყვანოს და გამეფოსო. ამის თადარიგს სოლომონ მეფესთან იჭერს და ლეკებსაც უქადაგებს შველასაო, ლეკებიც დაყოლია უკვე ამისთვისაო.

ჯაშუშებმა ისე მოაწყეს საქმე, რომ ზაბით ფაშას სასტიკათ გადაჰკიდეს შერიფ ფაშა, შერიფ ფაშას აუწყეს, რომ ზაბით ფაშა რუსებს ემხრობა და მერე მათის ცდით ფიქრობს ახალციხეში გაფაშებასაო.

შერიფ ფაშა ამაზედ აიყოლიეს. მოაგვითხრობენ, რომ ვითომ შერიფ ფაშამ ზაბით ფაშის მოსაკლავად თურმე 60 ქისა ოქრო დანიშნა, იმავე დროს, მერე მტერი სულიმ ბეგის მოსაკლავად 40 ქისა ოქრო დაუნიშნავს. ეს ამბავი იმერეთის მეფე სოლომონსაც აუწყეს, სოლომონ მეფემ ზაბით ფაშას ეს ამბავი აცნობა და თან გააფრთხილა. ცნობა არის, რომ თუმცა სულიმ ფაშაც აბეზღებდა ზაბით ფაშას რუსის მთავრობასთან. მერე ამ გველების წყალობით აი რა მოხდა: იმერეთში მცხოვრებ და მეცადინე ზაბით ფაშას ერთ ღამეს დაესხნენ კაცები და მოჰკლეს, თავი მოსჭრეს, ამასთანავე დახოცეს ესევიც სხვა ქართველი მაჰმადიანი ბეგები, რომელნიც ზაბით ფაშას ახლდნენ თან, როგორც თანამგრძნობნი და საქართველოს შეერთების მოსურნენი. ზაბით ფაშის მფარველობას, სხვათა შორის იმერეთის მეფე სოლომონს რუსის გენერალი კნორინგიც აყვედრებდა, რომ ზაბით ფაშა სიკვდილისგან დაიფარეთო.

ამიტომაც ზაბით ფაშის მოკვლას იმერეთში არავინ ელოდა, რადგანაც მას იფარველობდა თვით სოლომონ მეფეც. ზაბით ფაშის სიკვდილის შემდეგ პირდაპირ ამ მკვლელობაში სოლომონ მეფეც გახვიეს, ამ ცილს დავით ბატონიშვილიც სწერს და სოლომონ მეფეს აბრალებს, რომ ეს ტყუილი გახლავსთ, სოლომონ მეფე თავის ერთგულ ძმა მეგობარს ფაშას და საქართველოს ერთობის გულშემატკივარ კაცს არას დროს არ მოკლავდა, ვითომც სოლომონ მეფემ ზაბით ფაშა შერიფ ფაშის დავალებით მოაკვლევინაო. ეს ტყუილი გახლავსთ, ცილი, პირებით მოგონებული. ზაბით ფაშა ქართველის ხელით არ არის მოკლული, იგი არც მოკვდებოდა ქართველის კაცისგან, ვინაიდგან იგი იყო საქართველოს ერის სიკეთის მონატრე და ასე ეს როგორ იქნებოდა, რომ მოსვდარიყოს, იგი მოკლულ იქმნა რუსის მთავრობისაგან შეყიდულ ლეკებისაგან. ზაბით ფაშასთან ერთათ დახოცეს ესევიც სხვა ქართველი მაჰმადიანი ბეგები. ისეთი ბეგები, რომელნიც თანაზიარნი იყვნენ ზაბით ფაშის და საქართველოს ერთგულებისა. ზაბით ფაშის აზრი იყო შემდეგი: ქრისტიან ქართველებს საქართველოში და იმერეთში ჰყავდათ თავის მეფე ქრისტიანი, ქართველ მაჰმადიანებს ჰყავდესთ თავიანთი სჯულის ათაბაგ-ჯაყელის გვარის კაცი, ხოლო ერთათ იყვნენ და ერთნი იქნენ ძველებურათ.

რიზა ფაშა ჯაყელი. ჩვენ ამ კაცის ცხოვრებას არ ვიცნობთ, იგი აღწერილია. იგი აღწერილია 1901 წ. გაზ. „დროების“ 23 ნომერში.

რიზა ფაშა ჯაყელის დამწერი დიდის ქება-დიდებით აღწერს, მას ევროპიული განათლება ჰქონია მიღებული, სცოდნია ევროპიული ყველა ენები და აზიურიც ბევრი ენა სცოდნია. თვით ქართული ენაც კარგად სცოდნია და ამ რიზა ფაშას გაზეთის წერილის დამწერი ქართულის ენით მიუპატიჟებია თავის კაბინეთში.

რიზა ფაშა ჯაყელი იმ დროს, ანუ 1900 წ. სამხედრო მინისტრათ ყოფილა, ამასთან ეს ფაშა დიდი მოყვარე ყოფილა საქართველოს ერის ბედით, საქართველოს შესახებ ამ ფაშას ბევრი ამბები სცოდნია საქართველოს შესახებ. მას ისტორიული წიგნებიც უკითხავს საქართველოს შესახებ და 1901 წ. რომ ქართველებმა რუსებთან დაკავშირების 100 წლის შესრულება იდღესასწაულეს, ამაზედ მას თავისებური შეხედულება ჰქონია შედგენილი.

დომბერის და რიზა ფაშის ლაპარაკი ყოველთვის საქართველო ყოფილა და ქართველი ერის საქმენი. ერთ ლაპარაკის დროს, რიზა ფაშას უთქვამს შემდეგი სიტყვები:

„ასე ჩემო მეგობარო,—დაასკვნა რიზა ფაშამ: თუ ერი ერთ ფეროვან, პოლიტიკურს მასსას არ წარმოადგენს, თუ მას სიმდიდრის შექმნა არ შეუძლიან, ვაჭრობა-მრეწველობით, თუ მეცნიერებაში იგი დაწინაურებული არ არის, იგი არც ერათ ჩაითვლება და ვერც მოახერხებს როდისმე დაიმსახუროს ერის სახელიო“.

პატივცემულ დამწერს, ამ ფაშის ცხოვრებიდამ ისეთი ცნობები მოჰყავს, რაც მართალიცაა და მას სახვენ ევროპიულად განათლებულს და დიდათ მომზადებულ მცოდნე კაცათ. იგი თურმე ქართველებშიც მედიდურებს და გვარით ჯაყელის მაგიერ ბაგრატიონს იწოდებსო. ეს უნებლიე ისტორიული შეცდომა გახლავსთ.

იმედია, რომ ქართველი მაჰმადიანები და ნამეტნავ აჭარა ქობულეთელნი ამ ქართველ მაჰმადიანთ რიზა ფაშის სიტყვებს და აღთქმას ფხიზლის თვალით შეხედვენ და ეცდებიან მასთან, რომ თვის ცხოვრებასა, სამშობლო ქვეყანას და საქართველოს შინიდან თუ გარედან კრთხვებსაც გონივრულად შეხედვენ და მით დაიცავენ თავიანთ მამა-პაპათა დავალებას, რაც მათ ისლამის წინაშეც აქვსთ დადებული ისლამისავე ფიცით.

ხეირულა ბეგ ჯაყელი მუსულმან ჯაყელების დიდი გვარის წევრია, რიცხვი მესხეთსა და ჯავახეთში, ანუ ახალციხეში, ისე შემცირდა, ისე დავარდა, რომ მათის რიცხვის ერთი კომლი სცხოვრობდა არაგვინის ახლოს სოფ. სვეტს, სადაც მეჩვიდმეტე საუკ. სცხოვრობდნენ. ჯაყელების გვარის წევრი კათოლიკეებიც და ერთი კომლიც მუსულმანები სცხოვრობდნენ აჭარის სოფ. ძენწმანში.

ოსმალეთის სახელმწიფომ სამცხე საათაბაგო 1627 წ. დაიპყრო. შემდეგ ასი წლის, ანუ 1727 წ. ქართველ მაჰმადიანებს ნიზამი, ანუ ჯარისკაცად გასვლა სთხოვეს, მაგრამ ქართველი მაჰმადიანები არ გავიდნენ, მერე სთხოვეს კიდევ 1740 წ. მაგრამ მ არ გავიდნენ, სთხოვეს კიდევ 175 1760 წ. 1770 წ. 1781 წ. შემ 1815 წ. 1827 წ. მაგრამ არც ერთხ არ გავიდნენ, ნამეტნავ აჭარლები ოსმალეთ მოძმოლით აძლევდნენ პასუ და ჯარისკაცს არ აძლევდნენ, შენიშნულია ისიც, რომ ომში ოსმალნი ყოველთვის მარცხდებოდნენ.

1844 წ. ოსმალოს მთავრობამ კიდევ მიმართა ქართველ მაჰმადიანებს და ჯარში გაყვანა სთხოვა, ქართველ მაჰმადიანებმა მაინც ამ დროსაც უარი სტკიცეს, საქმე გამწვავდა, აჭარლებს წინამძღოლობდნენ მოწინავე კაცები, ესენი იყვნენ: სოფ. ზენდიდელი ჰაჯი ასან ბეგი ბეჟანიძე, სოფ. ორწოდამ ალიქ შერვაშიძე, სოფ. ძენწმანიდამ ხეირულა ბეგ ჯაყელი და სხვანიც.

ამ პირებში ხეირულა ბეგს ეჭირა უპირატესი ადგილი, როგორც ჯაყელების გვარის წევრს და თვითონაც მართლაც ქართველ მაჰმადიანთა საქმეს ერთობ გულ-ხმიერადაც ეკიდებოდა და ყველა ქართველ მაჰმადიანს აზნევებდა თურმე და ეუბნებოდა, რომ ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ქვეყანაც გურჯისტანია, ჩვენ ოსმალეთში რა გვინდა რომ წავიდეთ, ჩვენ ქართველები ვართო.

ოსმალეთი ვალდებულია, რომ ჩვენი კაცი ოსმალეთში არ უნდა გაიყვანოს. ჩვენ ამ აზრზედ მტკიცეთ უნდა ვიდგეთ და ვაუწყოთ ჩვენი აზრი, რომ ჩვენ მათის ნებით ნიზამში არ გავალთ და არც ოსმალეთში წავალთ და თუ საჭირო იქმნება, მაშინ ჩვენის ნებით გავალთ და მტერს დაუდგებით წინ. ასეთი პასუხი მისცეს აჭარა ქობულეთელებმა ოსმალოს მთავრობას. მერე ოსმალოს მთავრობამ სხვა კილო იხმარა, სჯულის საქმის მხრით მიმართა ხალხს და მაშინ კი მოახერხეს და 1851 წ. გაიყვანეს ნიზამში. ამათგან პირველთ ხეირულა ჯაყელი მაინც ერთგული იყო აჭარლების და იგი საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთ ინტერესებს დიდის ერთგულებით და თავაზით იცავდა.

ზ. ჭიჭინაძე

ლი სახის
როგორც სჩანს

„ერთობის“ [illegible] სტამბა 4,